პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

კვირა, 18 ივნისი, 1950 წ. № 129 (8689). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პროპაგანდისტთა აღზრდა და დახელოვნება დიდმნიშვნელოვანი საქმეა—მოწინავე, (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები:

საინფორმაციო ცნობები ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს 17 ივნისის სხდომების შესახებ (1-ლი გვერდი).

ეროვნებათა საბჭოში და კავშირის საბჭოში (მე-2 გვერდი).

სამგორის სახალხო მშენებლობაზე (1-ლი გვერდი).

უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, წარმატებით შევასრულოთ პურის დამზადების გეგმა (მე-2 გვერდი).

ი. სერგიევსკი — მაქსიმ გორკი (მე-3 გვერდი).

პ. ბახტურიძე—მხატვრული ლიტერატურის ახალი ქადაგება (მე-3 გვერდი).

დასავლეთ გერმანიას აშკარად აქცევენ ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო პლაცდარმად (მე-4 გვერდი).

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს რეზოლუცია (მე-4 გვერდი).

ინგლისელი მეცნიერი ატომისტის განცხადება (მე-4 გვერდი).

პროპაგანდისტთა აღზრდა და დახელოვნება დიდმნიშვნელოვანი საქმეა

კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღება, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა ბოლშევიკების პარტიის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა. ეს გასაგებიც არის: კომუნისტების, მასების პოლიტიკური შეგნების დონეზე დიდად არის დამოკიდებული კომუნიზმისაკენ ჩვენი წინსვლის ტემპი. ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების საბოლოო დაძლევა, მათი კომუნისტური პრინციპებით აღზრდა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა.

პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური, პროპაგანდისტული მუშაობა ყოველწლიურად სულ უფრო ფართო გაქანებას იღებს. უფრო ორგანიზებული გახდა და მაღალი იდეური დონით ხასიათდება მუშაობა კომუნისტების, მშრომელთა პოლიტიკური აღზრდისათვის. პარტიული ორგანიზაციები მრავალ ღონისძიებას ახორციელებენ პარტიული განათლების ქსელის მუშაობის უკეთესად მოწყობისათვის.

კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების შედეგია ის, რომ პარტიული განათლების ქსელში წელს გაცილებით ორგანიზებულად და მაღალ თეორიულ დონეზე მიმდინარეობდა მუშაობა. შემაჯამებელი მეცადინეობის დროს კომუნისტები სერიოზულ პოლიტიკურ მომზადებას, თეორიის შესწავლისადმი გაძლიერებულ ინტერესს ამჟღავნებენ.

პარტიული განათლების სისტემის ცენტრალური ფიგურა პროპაგანდისტია. უმთავრესად მის მომზადებაზე, უნარზე და საქმისადმი სიყვარულზეა დამოკიდებული პარტიული სწავლების ნაყოფიერად წარმართვა. სწორედ ამიტომ პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ პროპაგანდისტების შერჩევას, მათდამი დახმარებას, მრავალ ღონისძიებას ახორციელებენ იმისათვის, რომ პროპაგანდისტების თეორიული დონე განუწყვეტლივ მაღლდებოდეს, მათი პროპაგანდისტული დახელოვნება სრულყოფილი ხდებოდეს. პროპაგანდისტთა იდეური დონის ამაღლებას, მათ დაოსტატებას ემსახურებიან პარტიის რაიონულ კომიტეტებთან შექმნილი სემინარები, თათბირები გამოცდილების ურთიერთ გასაზიარებლად და სხვ.

გამოიზარდნენ პროპაგანდისტთა შესანიშნავი კადრები, რომლებიც წარმატებით ხელმძღვანელობენ პარტიული განათლების წრეებსა და სკოლებს, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებით, საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით აიარაღებენ კომუნისტებს, მშრომელებს.

პროპაგანდისტებს დიდი და საპატიო მოვალეობა აქვთ დაკისრებული. ამ მოვალეობის წარმატებით შესრულება მათ მხოლოდ პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური დახმარებით შეუძლიათ. მალე დამთავრდება სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში. მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას შევასუსტოთ ყურადღება პოლიტიკური განათლების საქმისადმი. ახალ სასწავლო წლამდე დარჩენილი დრო პარტიულმა ორგანიზაციებმა იმისათვის უნდა გამოიყენონ, რომ ყველა პირობა შექმნან მომავალში წრეებისა და პოლიტსკოლების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროპაგანდისტების მომზადებას ახალი სასწავლო წლისათვის. საჭიროა ერთხელ კიდევ გადავათვალიეროთ ის კადრები, რომლებსაც მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა, კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმე აქვთ მინდობილი; საჭიროების შემთხვევაში შევავსოთ ეს კადრები მცოდნე და საქმის მოყვარული ადამიანებით; შევცვალოთ ისინი, რომლებმაც ვერ გაამართლეს ეს მოვალეობა. ზაფხულის შესვენება პროპაგანდისტთა მომზადებისათვის, მათი დახელოვნებისათვის უნდა გამოვიყენოთ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით წელს პროპაგანდისტების მოსამზადებლად სერიოზული ღონისძიება განხორციელდება. 1 ივლისიდან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მუშაობას დაიწყებს სოფლის პროპაგანდისტთა ერთთვიანი კურსები — 350 კაცისათვის. ამ კურსებზე უმთავრესად მოზიდული იქნებიან რაიონულ ცენტრებს დაშორებული კოლმეურნეობებისა და ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პროპაგანდისტები. სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ დაკვირვებით შეარჩიონ კურსებზე გამოსაგზავნი პროპაგანდისტები, უზრუნველყონ იმათი გამოგზავნა, ვინც თავი გამოიჩინა მუშაობაში, ვისაც საქმე უყვარს და მისთვის ენერგიას არ იშურებს.

15 ივნისს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მუშაობა დაიწყო პროპაგანდისტთა სემინარების ხელმძღვანელთა ერთთვიანმა რესპუბლიკურმა კურსებმა. სემინარი პროპაგანდისტებისადმი დახმარების ძირითადი ფორმაა და მის მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული სწავლის ხარისხი პარტიული განათლების ქსელში. დასამალავი როდია, რომ ზოგან პროპაგანდისტთა სემინარის მუშაობა ჯეროვან სიმაღლეზე არა დგას, იგი ბევრს ვერაფერს აძლევს პროპაგანდისტებს. პროპაგანდისტთა სემინარის ხელმძღვანელების კურსები, უეჭველია, ხელს შეუწყობს პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობის ხარისხის ამაღლებას.

პარტიის ყველა საქალაქო კომიტეტთან შეიქმნება პროპაგანდისტთა 3-თვიანი კურსები. ამ კურსებზე პროპაგანდისტები იმეცადინებენ მუშაობისაგან მოუწყვეტლივ. გარდა ამისა, 20 ივნისიდან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან მუშაობას შეუდგება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტების შტატის ლექტორთა სემინარი. ლექციებს წაიკითხავენ როგორც ადგილობრივი მაღალკვალიფიციური ძალები, ისე მოსკოვიდან ჩამოსული ლექტორები. ყველა ეს ღონისძიება მიმართულია პარტიული პროპაგანდის საქმეში ახალი აღმავლობის მისაღწევად.

კურსებზე, ცხადია, ყველა პროპაგანდისტი არ მოხვდება. ადგილებზე დარჩენილ პროპაგანდისტებს პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მოუწყონ კვალიფიციური ლექციები და მოხსენებები ისეთ თემებზე, რომლებიც გააფართოებენ მათ იდეურ ჰორიზონტს, გამოადგებათ შემდგომ მუშაობაში. საჭიროა მუშაობა ისე წარიმართოს, რომ პროპაგანდისტი ყოველთვის გრძნობდეს პარტიული ორგანიზაციის მზრუნველობას.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა დიდი და საპატიო საქმეა. იგი საფუძვლიან ცოდნას, დახელოვნებას, საქმისადმი სიყვარულს, განუწყვეტელ მუშაობას მოითხოვს. ეს კარგად უნდა ჰქონდეთ გათვალისწინებული პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და სისტემატურად ეხმარებოდნენ პროპაგანდისტებს მათთვის დაკისრებული საქმის სასახელოდ შესრულებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

საინფორმაციო ცნობა
კავშირის საბჭოს 1950 წლის 17 ივნისის სხდომის შესახებ

17 ივნისს, დღის 2 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიმართა კავშირის საბჭოს მეხუთე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **მ. ა. იასნოვი.**

კავშირის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას შეწყდეს კამათი სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო და ისმენს სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის **ა. გ. ზვერევის** საბოლოო სიტყვას.

დეპუტატ **ლ. რ. კორნიეცის** წინადადებით კავშირის საბჭო იღებს ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ წესს: სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს კენჭი ეყაროს შემოსავლის და გასავლის ნაწილების მიხედვით, საკავშირო ბიუჯეტს — შემოსავლისა და გასავლის საერთო ჯამების მიხედვით, სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს კენჭი ეყაროს მუხლების მიხედვით.

კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს და ანგარიშს სსრ კავშირის 1948 და 1949 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. მუხლების მიხედვით, ხოლო შემდეგ მთლიანად ერთხმად მტკიცდება „სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი".

კავშირის საბჭო გადადის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებაზე. ამ საკითხზე მოხსენებას აკეთებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი დეპუტატი **ა. თ. გორკინი.**

კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს: „სახელმწიფო საგეგმო კომისიის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ", „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ", „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობაში მოწინავე ტექნიკის დანერგვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ", „საქალაქო მშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ", „სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო სამინისტროს შექმნის შესახებ", „სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს შექმნის შესახებ", „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ" და იღებს დადგენილებას სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 77 და 78 მუხლებში სათანადო ცვლილებათა შეტანის შესახებ.

შემდეგ დეპუტატ ა. თ. გორკინს კავშირის საბჭოს დასამტკიცებლად შეაქვს პროექტი კანონისა კავშირის საბჭოს მიერ კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ოთხი მოადგილის არჩევასთან და ეროვნებათა საბჭოს მიერ ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ოთხი მოადგილის არჩევასთან დაკავშირებით სსრ კავშირის კონსტიტუციის 42 და 43 მუხლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 8 მარტს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში მიღებულ იქნა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის დელეგაცია, რომელმაც კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს გადასცა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მიმართვა ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი.

კავშირის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნას ცნობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის დელეგაციის მიღების შესახებ.

ამით მთავრდება კავშირის საბჭოს მეხუთე სხდომა.

საინფორმაციო ცნობა
ეროვნებათა საბჭოს 1950 წლის 17 ივნისის სხდომის შესახებ

17 ივნისს, საღამოს 6 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში, გაიმართა ეროვნებათა საბჭოს მეხუთე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. შაიახმეტოვი.**

ეროვნებათა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას შეწყდეს კამათი სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო და ისმენს სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის **ა. გ. ზვერევის** საბოლოო სიტყვას.

დეპუტატ **ი. ს. ხოხლოვის** წინადადებით ეროვნებათა საბჭო იღებს ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ წესს: სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს კენჭი ეყაროს შემოსავლის და გასავლის ნაწილების მიხედვით, საკავშირო ბიუჯეტს — შემოსავლისა და გასავლის საერთო ჯამების მიხედვით, სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს კენჭი ეყაროს მუხლების მიხედვით.

ეროვნებათა საბჭო ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს და ანგარიშს სსრ კავშირის 1948 და 1949 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. მუხლების მიხედვით, ხოლო შემდეგ მთლიანად ერთხმად მტკიცდება „სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი".

ეროვნებათა საბჭო გადადის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებაზე. ამ საკითხზე მოხსენებას აკეთებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი დეპუტატი **ა. თ. გორკინი.**

ეროვნებათა საბჭო ერთხმად ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს: „სახელმწიფო საგეგმო კომისიის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ", „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ", „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობაში მოწინავე ტექნიკის დანერგვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ", „საქალაქო მშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტროს შექმნის შესახებ", „სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო სამინისტროს შექმნის შესახებ", „სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს შექმნის შესახებ", „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ" და იღებს დადგენილებას სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 77 და 78 მუხლებში სათანადო ცვლილებათა შეტანის შესახებ.

შემდეგ დეპუტატ ა. თ. გორკინს ეროვნებათა საბჭოს დასამტკიცებლად შეაქვს პროექტი კანონისა კავშირის საბჭოს მიერ კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ოთხი მოადგილის არჩევასთან და ეროვნებათა საბჭოს მიერ ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ოთხი მოადგილის არჩევასთან დაკავშირებით სსრ კავშირის კონსტიტუციის 42 და 43 მუხლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 8 მარტს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში მიღებულ იქნა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის დელეგაცია, რომელმაც კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს გადასცა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მიმართვა ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი.

ეროვნებათა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნას ცნობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის დელეგაციის მიღების შესახებ.

ამით მთავრდება ეროვნებათა საბჭოს მეხუთე სხდომა.

ფინეთის პრემიერ-მინისტრის დეპეშა

ბატონ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი

დავბრუნდი რა სამშობლოში მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შემდეგ, გულწრფელ მადლობას გიძღვნით პირადად თქვენ და თქვენი მეშვეობით საბჭოთა მთავრობას დიდი სტუმართმოყვარეობისა და ყურადღებისათვის, რაც ჩემდამი გამოიჩინეთ მოსკოვში ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო ყოფნის დროს.

ამასთან ერთად მინდა აგრეთვე მადლობა მოგახსენოთ, ბატონო გენერალისიმუსო, იმ გაგებისა და მეგობრობისათვის, რაც თქვენ კვლავ გამოიჩინეთ ჩემი ქვეყნისადმი.

ურხო კეკონენი

პურეულის აღება დაიწყო

ლაგოდეხი. (ტელეგრაფით). ლაგოდეხელი კოლმეურნეები წელს პურეულის უხვ მოსავალს მოელიან. მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაიწყო პურეულის მოსავლის აღება.

ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობამ, რომელსაც 220 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურების ნათესი აქვს, 16 ივნისს 7 ჰექტარზე აიღო ქერის მოსავალი. თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 25 ცენტნერი. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს უკვე ჩააბარა 6 ტონა ქერი. დაიწყო აგრეთვე ხორბლის მკა. პურეულის მთლიან ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე მოელიან 18 ცენტნერს, ხოლო უხვმოსავლიან ნაკვეთებზე — 25 ცენტნერს.

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

ველზე გავიდნენ ზესტაფონელები

[illegible] ოს რაიონების კოლ[illegible] ს წელს სამგორის [illegible] ოავიანთი წილი სამუ[illegible] იანთი შრომის ძალა [illegible] ებმა დუშელებმა, [illegible] ოელებმა. თელავე[illegible] ჯომელებმა, გურჯაა[illegible] ს აღმოსავლეთი მხა[illegible] აიონების კოლმეურ[illegible].

[illegible] ლეთ საქართველოს მშრომელთა მუშაობის ჯერი. მგზნებარე პატრიოტიზმის სულისკვეთებით დაიძრნენ სამგორისაკენ იმერეთიდან. უკვე მოვიდნენ კუნთმაგარი ვაჟკაცები ზესტაფონის, ორჯონიკიძის და საჩხერის რაიონებიდან. კვლავაც მოდიან კოლმეურნეებს ქუთაისის, ჩხარის, მაიაკოვსკის რაიონებიდან.

გაშლილი ბრძოლაა გამართული სამგორის მიწის უნაყოფობის დასამარცხებლად.

* * *

ლოჭინის ხევის მიმართულებით ბორჯომელთა უბნის გაგრძელებაზე ზესტაფონელებმა იკისრეს ქვემო მაგისტრალური არხისათვის კალაპოტის გამზადება სულ ცოტა 750 მეტრის სიგრძეზე. ეს სასახელო საქმეა.

— სამგორშიც არ უნდა ჩამოვრჩეთ სხვა რაიონებს, პირველ ყოვლისა ჩვენს მოკეთეებს და მოძმეებს გურჯაანელებს.—უთხრა კოლმეურნეებს პარტიის ზესტაფონის რაიონული კომიტეტის მდივანმა ხერგო საყვარელიძემ.

ზესტაფონელებს გურჯაანელებთან ძმობისა და მეზობლობის განსაკუთრებული გულთბილი ანგარიში აქვთ. ეს ორი რაიონი ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, და ორივე რაიონის კოლმეურნეები ცდილობენ ერთმანეთს აჯობონ სახალხო საქმეში. ზესტაფონელებს საგულდაგულოდ გაუგზავნიათ კაცები გურჯაანელთა მიერ შესრულებული სამუშაოს დასათვალიერებლად.—მძიმე უბანი შეხვედრიათ მათ, მაგრამ საქმე ხანიმუშოდ გაუკეთებიათ, — მოიტანეს გაგზავნილებმა ამბავი.

— არანაკლები, პირიქით, უკეთესი შეფასებით უნდა შევასრულოთ ჩვენს უბანზე სამუშაო! ასე გადაწყვიტეს ზესტაფონელ კოლმეურნეთა ხელმძღვანელებმა — პარტიის რაიკომის მდივანმა ხ. საყვარელიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ანდრო გიორგაძემ და მათთან ერთად ჩამოსულებმა ამხ. ამბროსი ხვედელიძემ, ვასილ კიკნაძემ, ვარლამ თურმანიძემ, ამბროსი დევიძემ, ინჟინრებმა — დავით ტოფაძემ, გერონტი ფერაძემ და სხვ.

* * *

— საკარმიდამოზე ვენახი მაქვს გაშენებული. ისეთი ვენახია, ავ თვალს არ შეხედდება! მესამედ უნდა შემეწამლა, მაგრამ ვეღარ მოვასწარი. უწინ, რა თქმა უნდა, საკოლმეურნეო ვენახებს ვუწამლეთ, ჩემი პირადი მიმრჩა და სწორედ მაშინ გავიგე, სამგორში მივდივართო. მივატოვე ჩემი ვენახი შეუწამლავი და აქეთ წამოვედი! იცი, რატომ?—იმიტომ, რომ სამგორი მეტს ნიშნავს ჩემს ვენახზე. ახე არაა, ვასილ ჩემო?

— ეგრეა, ნამდვილად ეგრეა, მაგრამ აქ რომ ჩამოდი, ის კი არაა ვაჟკაცობა, თუ ჩვენ გვაჯობებთ, აი მაშინ ვიტყვი, ვანო ტალახაძე ყოჩაღი ყოფილა-თქო!

ასე საუბრობდნენ შარშანდელ ნაცნობთან სოფელ წიფლავაკის კოლმეურნეთა ხელმძღვანელები. მათ შორის ერთი ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივანე ტალახაძე იყო და მეორე ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასილ მუმლაძე. იქაც ერთმანეთს ეჯიბრებიან თურმე ეს თავმჯდომარეები და მათ მიერ დარაზმული კოლმეურნეები ვენახების უკეთესად მოვლაში, უხვი მოსავლის მოყვანაში. შეჯიბრების ამ სულისკვეთებით მუშაობენ ისინი აქაც, სამგორის ველზე. ივანე ტალახაძეს შრომაში ნაცადი 12 ვაჟკაცი ჰყავს აქ წამოყვანილი. მათ შორის საუკეთესონი არიან თერაპონტე ფერაძე, დათა პულუხაძე და სანდრო ფერაძე. ვასილ მუმლაძესაც 12 კაცი ჰყავს. მათ შორის საუკეთესოთა სახელი აქვთ მოხვეჭილი ბიძინა რიჟამაძეს, გიორგი მუმლაძეს და კოტე რიჟამაძეს.

კარგად მუშაობენ და მაღალი ტემპით ყვავილას გაუსწრეს სოფელ ბოხლევის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრიდან" ჩამოსულებმა —ვლადიმერ მახათაძემ, კარპე მუმლაძემ, ალექსანდრე ოდიკაძემ, შალვა გურგენიძემ და ავთანდილ კაპანაძემ. მათ და მათს გარდა კიდევ 40 სხვა კოლმეურნეს ხელმძღვანელობს იმავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე დავით მჭედლიძე.

ზესტაფონელთა ხელმძღვანელები აღნიშნავენ სოფელ ცხრაწყაროს ბერიას სახელობის კოლმეურნეობიდან ჩამოსული სოციალისტური შრომის გმირების — სიმონ ნებიერიძის და გიორგი ბაკურაძის, კოლმეურნეების — სავლე გძელიძის, დავით წიწივაძისა და დავით ნებიერიძის კარგ მუშაობას (კოლმეურნეთა ამ ჯგუფს ხელმძღვანელობს ბრიგადირი გიორგი წიწივაძე). ქებისა და წახალისების ღირსნი არიან სოფელ ალავერდის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობიდან ჩამოსულები სოციალისტური შრომის გმირი ვედია კვანტრიშვილი და მისი სახლიკაცი პეტრე, ვლადიმერ ჭანკოტაძე, ოთარ ხირაძე და სხვები, რომელთაც კოლმეურნეობის ბრიგადირი სიმონ ჭანკოტაძე ხელმძღვანელობს.

ზესტაფონელთა სამუშაო ფრონტზე კარგი ორგანიზებულობით გამოირჩევიან აგრეთვე სოფელ საწაბლეს კიროვის სახელობის (ხელმძღვანელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე პროკოფი მელაძე) და სოფელ არგვეთას ბერიას სახელობის (ხელმძღვანელი ევტიხი კობახიძე) კოლმეურნეობებიდან ჩამოსულ კოლმეურნეთა ჯგუფები. საწაბლიელებს შორის მოწინავენი არიან ძმები ირაკლი და ტარასი ტალახაძეები, ბორის კამლაძე, გივი გველესიანი და ავთანდილ ჩუბინიძე. არგვეთელებში კი გამოირჩევიან დავით კობახიძე, ბენო გიორგაძე და სილოვან კობახიძე.

* * *

როცა მზე დასავლეთისაკენ მიიწურა და გომბორის კალთებს ხხივთა წითელი არშია გვირგვინივით თავს გადააფინა, საარხე ტრასზე მომუშავე ზესტაფონელ კოლმეურნეებს ანიშნეს:

— შეაჩერეთ მუშაობა, შეგროვდით დროშასთან!

ხალხი დროშისაკენ დაიძრა.

ზესტაფონელთა უბანზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის დავალებით კონცერტის გასამართავად ჩამოსულიყო კულტურის ცენტრალური სახლის მიერ გამოგზავნილი სააგიტაციო-მხატვრული ბრიგადა. ბრიგადის მონაწილეთა მიერ საუცხოო ოსტატობით შესრულებულმა სკეტჩებმა, პაროდიებმა, სიმღერებმა და ცეკვამ ზესტაფონელთა ერთსულოვანი სამადლობელი ტაში გამოიწვია.

შებინდდა. სახელდახელო სავლე ელექტროსადგურიდან ტრასის გაყოლებით გაშვებული დენით ელექტრონათურები აჰიალდნენ.

დასვენების შემდეგ ზესტაფონელები ღამის სიგრილეში მიდიოდნენ ვახშმობამდე წასამუშავებლად.

დ. ლომთაძე

ჩაის ფოთლის დამზადება
(ტრესტ „საქართველოს ჩაის" 15 ივნისის ცნობებით)

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება %	
	წლიურის	ივნისისა
ბათუმი	37,7	20,3
ქობულეთი	39,8	33,7
სულ აჭარაში	**39,3**	**30,6**
გალი	37,7	25,9
ოჩამჩირე	38,3	27,8
გულრიფში	37,1	15,9
სოხუმი	44,1	28,7
გუდაუთი	45,2	22,5
სულ აფხაზეთში	**38,5**	**26,0**
მახარაძე	43,0	34,5
ჩოხატაური	47,0	11,3
ლანჩხუთი	37,9	23,5
სამტრედია	33,1	25,3
წულუკიძე	31,3	19,0
ქუთაისი	35,0	15,2
წყალტუბო	41,7	38,7
ტყიბული	37,3	20,3
ცხაკაია	31,5	24,8
აბაშა	34,5	42,4
გეგეჭკორი	35,9	18,6
ზუგდიდი	33,5	26,4
წალენჯიხა	31,5	20,9
ჩხოროწყუ	31,1	19,6
ხობი	26,8	17,3
ჩხარი	35,9	40,0
ზესტაფონი	54,3	61,4
სულ რესპუბლიკაში	**37,9**	**27,1**

ბათუმის ჩაის ფაბრიკის ცნობები არასრულია.

რადიოკვანძი საბჭოთა მეურნეობაში

ცხაკაია. (საკ. კორ.). სოფელ ძველი სენაკის მელორეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი ი. მგელაძე, პარტორგანიზაციის მდივანი გრ. ჩემია) მოეწყო რადიოკვანძი, რომელიც მომსახურებას გაუწევს 300-მდე აბონენტს.

რადიოკვანძიდან ადგილობრივი გადაცემაც ეწყობა. ამას წინათ გადაცემულ იქნა მეურნეობის მომღერალთა თვითმოქმედი გუნდის კონცერტები.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲔᲑᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

16 ივნისს გრძელდებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები.

დილის 11 საათზე კრემლის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. შაიახმეტოვი**, თავმჯდომარის მოადგილეები დეპუტატები **მ. ტ. იაკუბოვი, მ. ვ. ზიმიანინი, თ. მ. მათიაშვილი.**

მთავრობის ლოჟებში ამხანაგების **ა. ი. მიქოიანის, ნ. ა. ბულგანინის, ა. ნ. კოსიგინის, ნ. მ. შვერნიკის, მ. თ. შკირიატოვის** გამოჩენას დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

დღის წესრიგშია კამათის გაგრძელება მოხსენების გამო სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

დეპუტატები სიამაყით ლაპარაკობდნენ ომისშემდგომი სოციალისტური მშენებლობის წარმატებებზე, რომლებიც მიღწეულია ბოლშევიკური პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის, ჩვენი ქვეყნის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით.

ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო მეურნეობისა და კულტურის სწრაფი განვითარება ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების მკაფიო დადასტურებაა. დეპუტატები ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებას, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს.

პირველი გამოვიდა რსფსრ განათლების მინისტრი დეპუტატი **ი. ა. კაიროვი.** როგორც მან აღნიშნა, განათლებისათვის საბიუჯეტო ასიგნობანი მოწმობენ, რომ განუხრელად და თანმიმდევრულად სრულდება ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანა — გავხადოთ ყველა მუშა და გლეხი კულტურული და განათლებული.

რუსეთის ფედერაციაში, აცხადებს დეპუტატი კაიროვი, ამჟამად 119 ათასზე მეტი დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლაა. მარტო 1949 წელს სოფელ ადგილებში ახლად გაიხსნა 3.600 შვიდწლიანი სკოლა.

საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს მზრუნველობას იჩენს მასწავლებლებისადმი. ამ უკანასკნელი წლების მანძილზე რსფს რესპუბლიკაში დაახლოებით 100 ათასი მასწავლებელი ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

სულ სხვა მდგომარეობაშია განათლების საქმე კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებში. მაგალითად, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები ამერიკის შეერთებული შტატების 1950 წლის ბიუჯეტში ორ პროცენტზე ნაკლებს შეადგენს.

დასასრულ დეპუტატი კაიროვი ლაპარაკობს განათლების მუშაკთა ამოცანებზე საყოველთაო შვიდწლიანი სწავლების განხორციელების დარგში.

დეპუტატი **ი. ა. აფანასიევი** ჩუვაშეთის რესპუბლიკის მაგალითით ცხადყოფს, თუ რა შესანიშნავ შედეგებს იძლევა პარტიისა და მთავრობის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება. ჩუვაშეთში სტალინური ხუთწლედების მანძილზე შექმნილია თანამედროვე, ტექნიკურად აღჭურვილი მრეწველობა. კოლმეურნეობებში ყველა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო მექანიზებულია, ფართოდ არის გამოყენებული მოწინავე აგროტექნიკა.

მნიშვნელოვანია რესპუბლიკის წარმატებანი კულტურული მშენებლობის დარგში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩუვაშეთი მთლიანი წერა-კითხვისმცოდნეობის ქვეყანა გახდა.

დეპუტატმა აფანასიევმა ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა გააკეთა სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროების მიმართ.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა **ნ. ა. სკვორცოვმა** ილაპარაკა ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლედში ჩვენი ქვეყნის საბჭოთა მეურნეობების წარმატებებზე. ახალი ნათესი ფართობების ათვისებასთან ერთად საბჭოთა მეურნეობებმა მიაღწიეს აგროტექნიკის დონის შემდგომ ამაღლებას. გასული წლის დამლევს მეტ წილ საბჭოთა მეურნეობებში დამთავრდა მიწათმოწყობის სამუშაოები.

საბჭოთა მეურნეობების მუშაკები უდიდესი აღფრთოვანებით ახორციელებენ ბუნების გარდაქმნის დიად სტალინურ გეგმას. ტყის გაშენების გეგმა 1949 წელს თითქმის ერთიორად შესრულდა, ხოლო 1950 წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა უკვე წელს გაზაფხულზე.

ნაყოფიერად და დაძაბულად შრომობენ საბჭოთა მეურნეობების მუშაკები მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების განსახორციელებლად. მნიშვნელოვნად გადიდდა პირუტყვის სულადობა, გაიზარდა მისი პროდუქტიულობა.

ამასთან ერთად ამხ. სკვორცოვი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არიან ისეთი მეურნეობანი, რომლებიც არარენტაბელურად მუშაობენ, ვერ ასრულებენ დაწესებულ სახელმწიფო გეგმებს.

— საბჭოთა მეურნეობების მუშაკების მრავალათასიანი რაზმი, — განაცხადა მან დასასრულ, — მთელ ძალღონეს იხმარს, რათა წარმატებით გადაჭრას საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის დარგში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები.

დეპუტატი **ა. პ. გაზაევი** ლაპარაკობს იმ უდიდეს ცვლილებებზე, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე მოხდა ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მშრომელთა ცხოვრებაში.

აღსავსენი სიხარულითა და სიამაყით თავიანთი სახელოვანი სოციალისტური სამშობლოსათვის, კომუნისტურ მშენებლობაში თავიანთი წარმატებებისათვის, ამბობს იგი, ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელები შეუპოვრად იბრძვიან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

დეპუტატი გაზაევი აკრიტიკებს ნავთის, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის, აგრეთვე საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებს ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებისადმი არასაკმაო ყურადღებისათვის.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში ქართველი ხალხის შესანიშნავ წარმატებებზე ილაპარაკა დეპუტატმა **ზ. ნ. კეცხოველმა.** გასულ წელს რესპუბლიკის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა გეგმა და კვლავ ადიდებს პროდუქციის გამოშვებას. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა უკვე შარშან აიღეს გაცილებით მეტი მარცვლეული და თამბაქო, ვიდრე ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის იყო გათვალისწინებული. რესპუბლიკაში დიდი სახსრები იხარჯება სახალხო განათლებასა და მეცნიერებაზე, წლითიწლობით იზრდება წიგნების გამოშვება.

დეპუტატი კეცხოველი ლაპარაკობს საქართველოში კურორტების ქსელის გაფართოების უდიდეს შესაძლებლობაზე და აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო საკმაო ყურადღებას არ აქცევს ამ საკითხს.

— სოციალიზმის ქვეყნის ბიუჯეტი, — ამბობს დასასრულ დეპუტატი კეცხოველი,— ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საბრძოლო პროგრამაა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, მთელ ძალ-ღონეს მოახმარს ამ პროგრამის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

დეპუტატი **ვ. ქ. შიშონკოვი** (კომის ასსრ) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ძალისა და ძლიერების ზრდასთან ერთად იზრდებიან და მტკიცდებიან მშვიდობისა და დემოკრატიის ძალები მთელ მსოფლიოში. ჩვენ მტკიცედ მივდივართ ჩვენი გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ხვალინდელი დღის შესახვედრად. **(მქუხარე ტაში).**

დეპუტატი შიშონკოვი ლაპარაკობს კომის ასსრ მშრომელთა წარმატებებზე. მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან იგი გადაიქცა განვითარებული მრეწველობის, მოწინავე სოფლის მეურნეობისა და კულტურის რესპუბლიკად. კომის ასსრ მთლიანი წერა-კითხვის მცოდნეობის რესპუბლიკა გახდა.

დეპუტატმა **გ. ბ. ალეკიანმა** (სომხეთის სსრ) განაცხადა, რომ 1950 წლის ბიუჯეტი მოწმობს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ახალ აღმავლობას, საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკას, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლის პოლიტიკას.

ომისშემდგომი ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა სომხეთის მრეწველობა. უდიდესი მუშაობა წარმოებს რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს კოლმეურნეობებმა, რომლებიც ჩვენს ქვეყანას აძლევენ პურს, ყურძენს, ბამბას, თამბაქოს.

— 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება, — ამბობს დასასრულ დეპუტატი ალეკიანი, — საბჭოთა სახელმწიფოს უფრო ძლიერს გახდის, გამოიწვევს სსრ კავშირის ეკონომიკისა და კულტურის უფრო მეტ აღმავლობას, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

დეპუტატი **ნ. დოდხუდოევი** (ტაჯიკეთის სსრ) ლაპარაკობს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობაზე, რაც საბჭოთა საზოგადოების მძლავრი მამოძრავებელი ძალაა.

საბჭოთა ტაჯიკეთი მოძმე ხალხების და უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის დახმარებით აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა.

დასასრულ დეპუტატი დოდხუდოევი შეჩერდა რესპუბლიკის მორიგ სამეურნეო ამოცანებზე.

დეპუტატი **ი. ი. ტურიანიცია** აღნიშნავს, რომ საბჭოთა უკრაინასთან შეერთების შემდეგ განვლილი ხუთი წლის მანძილზე შეიცვალა იმიერკარპატის სახე: გაჩნდა სამრეწველო საწარმოები, ახალი სკოლები, საავადმყოფოები, პირველად ოლქის ისტორიაში უჟგოროდში გაიხსნა უნივერსიტეტი. თავისუფალი შრომით აღფრთოვანებული ათეულ ათასობით მუშა და გლეხი სიხარულით უერთებს თავის ძალებს საბჭოთა ქვეყნის ერთიან შრომითს ნაკადს. ოლქის გლეხობა მტკიცედ დაადგა საკოლმეურნეო გზას.

განსაკუთრებული მასშტაბით გაჩაღდა კულტურული მშენებლობა. მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების წლებში 16-ჯერ გადიდდა შვიდწლიანი სკოლების რაოდენობა.

იმიერკარპატის მშრომელები, ამბობს დეპუტატი ტურიანიცია, თაობიდან თაობაში, საუკუნეებით მადლიერი იქნებიან დიდი რუსი ხალხისა, საბჭოთა კავშირის ხალხებისა, ბოლშევიკური პარტიისა, მშობლიური და საყვარელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინისა ფაშისტ ოკუპანტთა უღლისაგან განთავისუფლებისათვის, იმისათვის, რომ საბჭოთა ხალხების თავისუფალ ოჯახში შესვლით მათ საამური ცხოვრება ჰპოვეს.

ამ სიტყვებს დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

დეპუტატმა **ს. ზ. ბორისოვმა** ილაპარაკა, რომ საბჭოთა წყობილებამ იაკუტ ხალხს, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს, პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების უდიდესი შესაძლებლობა შეუქმნა. სიღატაკიდან, უუფლებობიდან და სიბნელიდან იაკუტიის მშრომელები გამოვიდნენ სინათლის, ბედნიერებისა და აყვავების ფართო გზაზე.

დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ორატორის სიტყვებს იმის შესახებ, რომ იაკუტი ხალხი თავის ეროვნულ აღორძინებას უნდა უმადლოდეს უწინარეს ყოვლისა ბოლშევიკურ პარტიას, ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

— განვლილი წელი ყირგიზეთის სს რესპუბლიკისათვის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირისათვის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის წელი იყო, — ამბობს დეპუტატი **ტ. კულატოვი.** იგი აღნიშნავს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის ყირგიზეთის სს რესპუბლიკის, ბიუჯეტების განუხრელი ზრდა მოწმობს პარტიისა და მთავრობის და პირადად ამხანაგ სტალინის უდიდეს ზრუნვას სსრ კავშირის ყველა ხალხისადმი.

შემდეგ დეპუტატმა კულატოვმა აღნიშნა, რომ ქვანახშირის მრეწველობის, გზათა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები ჯეროვან დახმარებას არ უწევენ რესპუბლიკას მნიშვნელოვანი სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში.

ყირგიზ ხალხს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში, — განაგრძობს დეპუტატი კულატოვი. — საბჭოთა ყირგიზეთის მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ — მთელმა მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ომისშემდგომი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმას წარმატებით შესრულებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

დეპუტატ კულატოვის გამოსვლის შემდეგ ეროვნებათა საბჭოს სხდომა იხურება. (საკდესი).

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

საღამოს 6 საათზე კრემლის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა კავშირის საბჭოს სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე **მ. ა. იასნოვი,** თავმჯდომარის მოადგილეები **ტ. მ. ზუევა, ა. ი. კირიჩენკო, ა. ი. ხნეჩკუხი, ა. ი. ნიაზოვი.**

მთავრობის ლოჟებში ამხანაგების **ვ. მ. მოლოტოვის, გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას, კ. ე. ვოროშილოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ა. ანდრეევის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. მ. შვერნიკის, მ. ა. სუსლოვის, პ. კ. პონომარენკოს** გამოჩენას დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

დღის წესრიგშია კამათის გაგრძელება მოხსენების გამო სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა საბჭოთა ხალხი ახალი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს, რომელიც ასახავს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის. დეპუტატები თავიანთ გამოსვლებში ერთსულოვნად იწონებენ ბიუჯეტის პროექტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ომისშემდგომი ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დიდმნიშვნელოვან ამოცანათა გადაწყვეტა.

დეპუტატი **ა. ტ. ვეიმერი** ლაპარაკობს, რომ ესტონეთის მშრომელები წარმატებით სძლევენ ფაშისტების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის სიძნელეებს. ხუთი წლის შემოქმედებითი შრომის შედეგად სამრეწველო პროდუქციის დონემ გასული წლის დამლევს 2,5-ჯერ გადააჭარბა ომამდელს.

დეპუტატი ვეიმერი პრეტენზიებს უცხადებს ელექტროსადგურების, ქვანახშირის მრეწველობის, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროებს, რომლებიც საკმაოდ არ ზრუნავენ ესტონეთის სსრ მრეწველობის შესაბამისი დარგების განვითარებაზე.

ტრიბუნაზეა კოსტრომის ოლქის კოლმეურნეობა „პიატილეტკას“ თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ი. ევდოკიმოვა.** იგი ლაპარაკობს კოსტრომელ მუშათა და კოლმეურნეთა შრომითს გამარჯვებებზე.

დიდი ცვლილებები მოხდა ომისშემდგომი წლების მანძილზე კოლმეურნეობა „პიატილეტკაში“. ამას წინათ არტელი გაერთიანდა მეზობელ არტელებთან და დიდი კოლექტიური მეურნეობა გახდა. კოლმეურნეობაში დიდი მუშაობაა გაწეული მეცხოველეობის ფერმებში შრომის მექანიზაციისათვის. შარშან თითო ძროხაზე მიღებულია 4.700-ზე მეტი ლიტრი რძე. კოლმეურნეობა წლითიწლობით კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე.

ამხ. ევდოკიმოვა მხურვალე მადლობას უხდის პარტიას, მთავრობას და ამხანაგ ი. ბ. სტალინს მშრომელებზე დაუღალავი ზრუნვისათვის. მის საბოლოო სიტყვებს დარბაზი ტაშით ხვდება.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი **ა. ა. ბენედიქტოვი** აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული დიდი ასიგნობანი ავალებს სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს უფრო რაციონალურად და მომჭირნეობით ხარჯოს თითოეული მანეთი სახელმწიფო სახსრებიდან.

ამხ. ბენედიქტოვი სწორად ცნობს დეპუტატების მიერ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მისი სამმართველოების საქმიანობის ნაკლოვანებათა კრიტიკას.

დაახასიათა რა გასული სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები, მინისტრმა თქვა, რომ მარცვლეულის საერთო მოსავალმა უკვე გადააჭარბა ომამდელ ოდენობას. ხვნა-თესვის მექანიზაციის დონის მხრივ აგრეთვე უკან არის ჩამოტოვებული ომამდელი მაჩვენებლები.

მოკლე ვადებში, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარდა მიმდინარე წლის მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. ამასთან კოლმეურნეობებმა, შეასრულეს რა გეგმა, შარშანდელზე გაცილებით მეტი დათესეს საგაზაფხულო ხორბალი, მარცვლეულ-პარკოსანი კულტურები, სიმინდი, ბამბა, საბოჭკოე სელი, ერთწლიანი ბალახები და სხვა კულტურები.

დასასრულ ამხ. ბენედიქტოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტიისა და მთავრობის დადგენილება 1950 წელს მოსავლის აღების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ მოქმედების საბრძოლო პროგრამაა სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისათვის.

დეპუტატი **ტ. ი. ყულიევი** ლაპარაკობს, რომ აზერბაიჯანელი ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხების ოჯახში, რომლებიც შედუღებული არიან ურღვევი სტალინური მეგობრობით, უდიდესი აღფრთოვანებით შრომობს სახალხო მეურნეობის განვითარების ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად.

რესპუბლიკაში იზრდება ნავთისა და ბამბის ოსტატთა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა რიგები. ბევრ მათგანს სოციალისტური შრომის გმირის და სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა.

დეპუტატი **ნ. ი. ბელიაევი** აღნიშნავს, რომ ალტაის მხარის მეურნეობამ ომისშემდგომი ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ თავის განვითარებაში. შარშან მხარის კოლმეურნეებმა სახელმწიფოს 25 მილიონი ფუთით მეტი პური ჩააბარეს, ვიდრე 1940 წელს.

იცვლება ალტაის სოფლის სახე. ახლა სოფლის რაიონებში მუშაობს ათასობით სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, ათეულ ათასობით მექანიზატორი, ათასობით მასწავლებელი. წლითიწლობით იზრდება საკოლმეურნეო სოფლის კულტურა.

დასასრულ დეპუტატმა ბელიაევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთ ციმბირი შეიძლება და კიდევაც უნდა გახდეს სოციალისტური სახელმწიფოს ნამდვილი ბეღელი.

დეპუტატი **რასულოვი** ახასიათებს ტაჯიკეთის სსრ ბიუჯეტს და აღნიშნავს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე ასიგნობათა დიდ ზრდას.

და ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის ტრაბახა ტრუბადურებმა, რომლებიც თავს „დასავლეთის ცივილიზაციის“ მატარებლებად ასაღებენ, თქვან, კაპიტალიზმის რომელ ქვეყანაში გადიდდა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე 50-ჯერ და უფრო მეტად საბიუჯეტო ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის, როგორც ეს საბჭოთა ტაჯიკეთში მოხდა, — ამბობს დეპუტატი.

ამხ. რასულოვს მოყავს მკაფიო ციფრები, რომლებიც ცხადყოფენ, თუ როგორ იზრდება კოლმეურნეობათა ეკონომიკა, რესპუბლიკის კოლმეურნეთა კეთილდღეობა. მაგალითად, ლენინაბადის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა შარშან 14 მილიონი მანეთი შეადგინა. ამას წინათ ვოროშილოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა დაამტკიცეს 7 მილიონ მანეთად ღირებული კულტურის სახლის მშენებლობის პროექტი და დასახეს მშენებლობა დაამთავრონ 1952 წელს.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ამბობს დეპუტატი **ა. ა. ბელიანსკი,** უდიდესი შემოქმედებითი აღფრთოვანებით ახორციელებენ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პროგრამას კუიბიშევის ოლქის მშრომელები. კუიბიშევის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა და გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით თითქმის ერთნახევარჯერ გაზარდა პროდუქციის გამოშვება.

ქალაქ კუიბიშევში მშრომელებმა მარტო შარშან 60 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი მიიღეს. აგებულია ახალი სკოლები, საავადმყოფო, საზაფხულო კინოთეატრი, დიდი მუშაობა შესრულდა ბინების გაზიფიკაციისათვის.

დასასრულ ამხ. ბელიანსკი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტროების ყურადღებას მიაქცევს ოლქში მათდამი დაქვემდებარებული სამშენებლო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელ მუშაობას.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრმა **ა. ფ. ზასიადკომ** განაცხადა, რომ პარტიის, მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის უდიდესი დახმარების მეოხებით ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობამ ომისშემდგომი ხუთწლედის მანძილზე შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია. შეიქმნა მანქანათმშენებლობის საკუთარი ბაზები, მოეწყო მძლავრი სამშენებლო ორგანიზაციები. ქვანახშირის ამოღების გეგმა ომისშემდგომი ხუთწლედის პირველ ოთხ წელს გადაჭარბებით შესრულდა.

სერიოზული წარმატებაა მიღწეული ქვანახშირის ამოღების პროცესების მექანიზაციაში. შახტების ტექნიკური აღჭურვილობის ზრდამ მიმდინარე წელს უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდება.

ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის ერთერთი ნაკლია, ამბობს ამხ. ზასიადკო, რომ ქვანახშირის ამოღების გეგმის საერთო შესრულებასთან ერთად ზოგიერთი შახტი, ტრესტი და საწარმო ჯერ ვერ ასრულებს პროგრამას.

საბჭოთა მეშახტეები, ამბობს დასასრულ ამხ. ზასიადკო, მთელ ძალღონეს იხმარენ, რათა ღირსეულად შეასრულონ პარტიის, მთავრობისა და ამხანაგ სტალინის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

ომისშემდგომ წლებში საბჭოთა ლატვიის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარება მძლავრი აღმავლობის კვალით მიდიოდა, ამბობს დეპუტატი **ი. პ. ოსტროვი.** რესპუბლიკაში შექმნილია ახალი სოციალისტური მრეწველობა. აშენებულია საწარმოები, რომლებიც ბურჟუაზიულ ლატვიაში არ იყო. რესპუბლიკაში მკვეთრად გადიდდა ელექტროენერგიის გამომუშავება, ფოლადის გამოდნობა, ტორფის მოპოვება, სუპერფოსფატის წარმოება. ლატვიის გლეხურ მეურნეობათა 95 პროცენტზე მეტი კოლმეურნეობებში გაერთიანდა. შარშან კოლმეურნე გლეხობამ ვადამდე გაუსწორა ანგარიში სახელმწიფოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ყველა სახის მიხედვით და გეგმის გადამეტებით ჩააბარა ერთ მილიონ ფუთზე მეტი მარცვლეული.

დიდ წარმატებებს მიაღწია ლატვიის სს რესპუბლიკამ კულტურული მშენებლობის დარგშიც.

მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში გორკის ოლქის მშრომელთა წარმატებებზე ილაპარაკა დეპუტატმა **დ. გ. სმირნოვმა.** მან აღნიშნა, რომ ოლქის მიერ სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებამ დადებითი გავლენა მოახდინა ბიუჯეტის შესრულებაზე.

დეპუტატმა სმირნოვმა დააყენა საკითხი საშენ მასალათა წარმოების განვითარების ტემპების გაძლიერების შესახებ, ხე-ტყის დამამზადებელ ორგანიზაციათა რაოდენობის შემცირების შესახებ.

საბჭოთა თურქმენეთის მშრომელებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში, განაცხადა დეპუტატმა **შ. ბ. ბატიროვმა.** თურქმენეთის მრეწველობამ შარშან გეგმა 103 პროცენტით შეასრულა. ნავთის მრეწველობის მუშაკები წლითიწლობით ადიდებენ ნავთის ამოღებას, ითვისებენ ახალ საბადოებს, მათ სამ წელიწადში შეასრულეს ნავთის ამოღების ხუთწლიანი გეგმა.

წარმატებით ვითარდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი—მებამბეობა. მეაბრეშუმეებმა მიაღწიეს საბჭოთა კავშირში აბრეშუმის პარკის ყველაზე მაღალ მოსავალს.

დეპუტატი ბატიროვი მთელ რიგ კრიტიკულ შენიშვნებს აკეთებს ქიმიური და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების მიმართ, რომლებიც აჭიანურებენ რესპუბლიკაში ახალ საწარმოთა მშენებლობას.

დეპუტატ ბატიროვის გამოსვლის შემდეგ კავშირის საბჭოს სხდომა დაიხურა. (საკდესი).

ᲣᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲝᲓ ᲐᲕᲘᲦᲝᲗ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ, ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲝᲗ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ!

საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას— 1950 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ

ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲣᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲝᲓ ᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲠᲘ. (საკ. კორ.). ოლქის კოლმეურნეობებსა და მტს-ებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია 1950 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალმა დადგენილებამ. საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღდა თავდადებული შრომა.

სოფელ ძარწემის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას 210 ჰექტარი პურეული აქვს. აქ მოსავლის აღებისათვის მზად არიან. მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა დ. მეტრეველმა დადგენილების გაცნობის დროს განაცხადა: პარტიისა და მთავრობის დადგენილება მოსავლის უდანაკარგოდ აღების და პურის დამზადების გეგმის შესრულების ბოლშევიკური პროგრამაა. ბრიგადის სახელით ვალდებულებას ვკისრულობ 40 ჰექტარი პურეული დროულად და უდანაკარგოდ ავიღოთ და პირველი განაღწი საუკეთესო მარცვლეული სახელმწიფოს ჩავაბაროთ.

ძარწემელმა კოლმეურნეებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება, კარგად შეაკეთეს პურეულის ნაკვეთებთან მისასვლელი გზები, რომლებსაც ემსახურება სპეციალური ბრიგადა ი. გოგიძის ხელმძღვანელობით. გამოყოფილია თავთავის ამკრეფთა ჯგუფები, წესრიგზეა ტრანსპორტი, მინდვრად კალოებამდე გაყვანილია ელექტროხაზი, რაც ღამით მუშაობის საშუალებას იძლევა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. (საკ. კორ.). წითელწყაროელი კოლმეურნეები ენერგიულად ემზადებიან მოსავლის აღებისათვის, სახელმწიფოსათვის პურის ჩასაბარებლად. სოფელ არხილოს კალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს პარტიისა და მთავრობის დადგენილება გააცნო პარტორგანიზაციის მდივანმა ი. პატაშურმა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა ივანე ქავთარაძემ დადგენილების საპასუხოდ კოლმეურნეთა სახელით იკისრა მოსავალი აიღოს 15 დღეში, ათ დღეში მთლიანად შეასრულოს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა.

— მოსავლის აღებისათვის მზად ვართ — განაცხადა სოციალისტური შრომის გმირმა, ბრიგადირმა სტეფანე კობაიძემ. შედგენილი გვაქვს მოსავლის აღების გეგმა, ყოველმა წევრმა იცის, სად მოუხდება მუშაობა. პირობას ვიძლევი პურეული ავიღოთ მოკლე ვადაში, არ დავკარგოთ არც ერთი თავთავი, პირნათლად შევასრულოთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება.

კოლმეურნეები ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას დადგენილების წარმატებით განხორციელებისათვის.

ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲗ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲡ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ. (საკ. კორ.). სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში, დადგენილების გაცნობისას აგრონომმა ქ. ჭიპაშვილმა თქვა:

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ჩვენი კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს. ჩვენ ყველა საშუალება გვაქვს ვადამდე და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ არა მარტო მოსავლის აღების, არამედ საშემოდგომო თესვისათვის მზადების ყველა სამუშაო. პირადად მე ვკისრულობ კოლმეურნეობაში მივაღწიო იმას, რომ მაღალხარისხოვნად ავიღოთ მთელი მოსავალი, სახელმწიფოს ვადამდე ჩავაბაროთ 120 ტონა საუკეთესო ხარისხის პური, ამასთან მეზობელ კოლმეურნეობებს თესლად მივცეთ 30 ტონამდე საუკეთესო ხარისხის ხორბალი.

საქონლის საკვების დამამზადებელი ბრიგადის ბრიგადირმა ისაკი ბაზერაშვილმა თქვა: წარსულ წლებში ჩვენს კოლმეურნეობაში საქონლის ბევრი საკვები იკარგებოდა. წელს ასე არ მოხდება. ვალდებულებას ვიღებ მოვაწყო სპეციალური წნეხი, რომლითაც ყოველდღიურად დავამზადებთ 3 ტონა ნამჯას, სულ კი 400 ტონას, ამასთან დავწნეხავთ 100 ტონა ნათეს ბალახს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვლადიმერ ოსოშვილმა კოლმეურნეთა სახელით პირობა დადო მოსავლის აღება როგორც კომბაინით, ისე ხელით ვადაზე ადრე დაამთავრონ, სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ვალდებულება მთლიანად შეასრულონ 15 ივლისისათვის, მარცვლის ხარისხის დაცვის მიზნით შეუფერხებლად ამუშაონ თესლსაწმენდები, სანიმუშოდ მოაწყონ მარცვლეულის დაცვა.

კოლმეურნეობა ყოველმხრივ მომზადებულია მოსავლის აღებისათვის — შედგენილია გეგმა, მოწყობილია ფარდულები და კალოები, შეკეთებულია ურმები და სასწორები, შეძენილია ტომრები და ბრეზენტები.

ᲒᲝᲠᲔᲚ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲞᲧᲕᲐ

ᲒᲝᲠᲘ. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებსა და მტს-ებში გულდასმით ეცნობიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „1950 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ“. ამ დადგენილებამ უფრო გააძლიერა მოსავლის აღებისათვის მზადება.

სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადში“ უკვე დაამთავრეს ინვენტარის შეკეთება, მთავრდება საწყობების დეზინფექცია, მზად არის სასწორები, ურმები. შედგენილია მოსავლის აღების კონკრეტული გეგმა. მკაზე იმუშავებს 70 კაცი, თავთავების აკრეფაზე გამოყოფილია 80 ქალი და მოზარდი, მინდვრად მომზადებულია 12 კალო, შეძენილია 250 ტომარა. ქალთა შრომის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით გაიხსნა საბავშვო ბაგა.

კოლმეურნეობამ გადაწყვიტა 410 ჰექტარზე მოსავალი აიღოს 8-10 სამუშაო დღეში, პირველი განაღწი პური ჩააბაროს სახელმწიფოს. დღითიდღე ძლიერდება მოსავლის აღებისათვის მზადების ტემპი ქარალეთის, ხურვალეთის, თორტიზის, ხიდისთავის, ზეღდულეთის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

საბჭოთა მთავრობისა და ბოლშევიკური პარტიის დადგენილების პასუხად გორის მტს-ის კოლექტივმა იკისრა მოსავლის აღება ვადამდე დაამთავროს, არ დაუშვას დანაკარგები, მიაღწიოს საწვავის ეკონომიას.

ᲛᲝᲕᲣᲐᲠᲝᲗ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲜᲐᲠᲒᲐᲕᲔᲑᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიონულმა კომიტეტმა ამ დღეებში განიხილა საკითხი ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაციის მუშაკის მხრივ მწვანე ნარგავებისადმი დანაშაულებრივი მოპყრობის შესახებ. აღინიშნა, რომ ვაჭრობის ზოგიერთი მუშაკი სრულიად უპასუხისმგებლოდ ეკიდება მაღაზიების წინ გაშენებულ მწვანე ნარგავთა მოვლა-პატრონობის საქმეს. მაგალითად, თბილბოსტანვაჭრობის № 1 მაღაზიის წინ (რუსთაველის პროსპექტი № 1) მცენარის ძირში მარილიანი ხსნარის ჩასხმის შედეგად ნახევრად გამხმარია 20 წლის ჭადარი; კომუნარების ბაღში № 221 სავაჭრო წერტის მომუშავეებმა სავაჭრომდე წყალსადენის მილის თვითნებურად გაყვანის შედეგად დააზიანეს და გაახმეს სამი ძირი მწვანე ნარგავი. ამავე დროს ისინი ღვრიან მარილიან ხსნარს, რაც იწვევს მცენარეთა დაზიანებას. ასევე დანაშაულებრივად მოეკიდნენ მწვანე ნარგავებს თბილხილბოსტანვაჭრობის № 1 მაღაზიის ფილიალის მომუშავენი. მათი მიზეზით გახმა რამდენიმე ძირი ხე.

მწვანე ნარგავთა მოვლა-პატრონობის საქმისადმი ასეთი დანაშაულებრივი დამოკიდებულებისათვის რაიონული კომიტეტის ბიუროს დადგენილებით სამუშაოდან მოიხსნა თბილხილბოსტანვაჭრობის № 1 მაღაზიის დირექტორი ზუბიევი, ამავე მაღაზიის ფილიალის გამგე დავტიანი, თბილკვებვაჭრობის № 221 სავაჭრო წერტის გამგე მიქია და დაედო მათ პარტიული სასჯელი.

მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი

(გარდაცვალების მე-14 წლისთავისათვის)

1936 წლის 18 ივნისს შეწყდა ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი საუკეთესო შვილის — მაქსიმ გორკის გულის ძგერა. „ლენინის შემდეგ გორკის სიკვდილი ყველაზე მძიმე დანაკლისია ჩვენი ქვეყნისა და კაცობრიობისათვის“,—თქვა ამხანაგმა მოლოტოვმა დიდი მწერლის ახლადგათხრილ საფლავზე. „რუსულ ლიტერატურაზე თავისი გავლენის ძალით, — ხაზგასმით აღნიშნავდა ამხანაგი მოლოტოვი, — გორკი დგას ისეთი გიგანტების შემდეგ, როგორიც არიან პუშკინი, გოგოლი, ტოლსტოი, როგორც ჩვენს დროში მათი დიდი ტრადიციების საუკეთესო განმგრძობი. გორკის მხატვრული სიტყვის გავლენა ჩვენი რევოლუციის ბედზე უფრო უშუალო და ძლიერია, ვიდრე რომელიმე სხვა ჩვენი მწერლის გავლენა. სწორედ ამიტომაც გორკი არის პროლეტარული, სოციალისტური ლიტერატურის ნამდვილი მამამთავარი ჩვენს ქვეყანაში და მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალში“.

ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებში გორკიმ გაიარა ცხოვრების მკაცრი სკოლა, რომელმაც გამოაწრთო მისი გონება და ნება, ჩაუნერგა კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ მგზნებარე და შეურიგებელი მებრძოლის ის თვისებანი, რომლებიც ასეთი ძალით გამოვლინდნენ მისი როგორც მხატვრის, მოქალაქის, რევოლუციონერის მთელ შემდგომ მოღვაწეობაში. გორკიმ თავის ადრინდელ მოთხრობებში, რომლებმაც დასაწყისი მისცეს მის მსოფლიო სახელს, შექმნა მთელი რიგი მკაფიო, სამახსოვრო სახეები, რომლებითაც დამაჯერებლად აისახა კაპიტალიზმის მხეცური ბუნება, მისი დამღუპველი, დამამახინჯებელი გავლენა ადამიანთა შეგნებაზე. ეს მოთხრობები წარმოადგენდნენ უდიდესი ფეთქებადი ძალის მასალას. ასეთი მრისხანე გამოწვევა კაპიტალისტური საზოგადოებისადმი, რომელიც დამყარებულია ექსპლოატატორთა სიმდიდრესა და თვითნებობაზე, ექსპლოატირებულთა სიღატაკესა და უუფლებობაზე, რუსულ ლიტერატურას მანამდე არ უნახავს.

გორკის შემოქმედება არა მარტო გამსჭვალული იყო მგზნებარე პროტესტით კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ. იგი გამსჭვალული იყო ბრძოლის სულისკვეთებით, იგი რუსეთის მუშათა კლასს აიარაღებდა ურყევი რწმენით ნათელი მომავლისადმი, სოციალური სამართლიანობის ზეიმისადმი. ამ რწმენის წყარო იყო გორკის მგზნებარე პატრიოტიზმი, მხურვალე სიყვარული სამშობლო ქვეყნისა და მშობელი ხალხისადმი. სავსებით უკვე ჩამოყალიბებული, მოწიფული მწერალი გორკი ამბობდა: „...მე ვხედავ რუს ხალხს განსაკუთრებულად, ფანტასტურად ნიჭიერს, თავისებურს... მე მგონია, რომ... ეს საკვირველი ხალხი... იცხოვრებს საზღაპრო გმირული ცხოვრებით და ბევრ რამეს ასწავლის დანაშაულობით დაღლილ და გადარეულ ამ მსოფლიოს“.

რუსი ხალხის არაჩვეულებრივი სულიერი სიმდიდრის, ნიჭიერების ამ შეგრძნებით თითქოს შიგნიდან გაშუქებულია გორკის მიერ შექმნილი უბრალო რუსი ადამიანების ყველა სახე. მწერლის თითქოს უაღრესად ესკიზურ, შემთხვევით მონახაზებში გამოსჭვივის მისი მუდმივი გრძნობა აღტაცებისა რუსი ადამიანების გმირობით, სამშობლოსათვის საგმირო საქმეების ჩასადენად მათი მზადყოფნით და იმ უბრალოებითა და მოკრძალებით, რომლითაც ისინი გმირობას სჩადიან.

ხატავს რა კაცობრიობის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უჭკნობი სულიერი სილამაზით აღსავსე სახეს, გორკი განსაკუთრებული სიყვარულით ლაპარაკობს მის იმ თვისებებზე, რომლებიც მას გვიხატავენ სწორედ როგორც რუს ადამიანს, თავისი ხალხის ღვიძლ შვილს. ლენინის გმირობის უდიდესი მომხიბვლელობა, გორკის აზრით, უწინარეს ყოვლისა მისი ღრმად ეროვნული იერი იყო.

გორკის ერთბაშად როდი გამოუცვნია ის საზოგადოებრივი ძალები, რომელთაც უნარი შესწევდათ სათავეში ჩადგომოდნენ რუსი ხალხის ბრძოლას მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, გორკი ერთბაშად როდი გახდარა პროლეტარული ხელოვანი. მის იდეურ და შემოქმედებით განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ლენინის ნაშრომთა გაცნობამ. ლენინური „ისკრის“ წარმომადგენლებთან შეხვედრებსა და საუბრებში მან პირველად იგრძნო ხელშესახებად „ნამდვილი რევოლუციურობა“. ლენინელები იყვნენ მის მიერ პირველად ნახული ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ არა მარტო აღშფოთებულიყვნენ მსოფლიოს არასრულყოფილობის გამო, მსოფლიოს ბოროტებათა და მანკიერებათა გამო, არამედ მტკიცედაც იცოდნენ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ იმისათვის, რომ გარდაექმნათ მსოფლიო, და მზად იყვნენ აქტიურად ებრძოლათ მისი გარდაქმნისათვის.

ბოლშევიზმის იდეებსა და რევოლუციურ პრაქტიკასთან ცოცხალმა ურთიერთობამ, 1905 წლის რევოლუციის გამოცდილებამ, რომლის უშუალო მონაწილეც გორკი იყო, დახმარება გაუწია მას დასდგომოდა დიდი სოციალისტური ხელოვნების ფართო გზას. მისი მოთხრობა „დედა“ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ნაწარმოები გახდა. ჩვენი დროის ყველაზე მოწინავე, ყველაზე რევოლუციური მსოფლმხედველობის მქონე — მუშათა კლასის მასობრივი რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებაზე დამყარებული კომუნიზმის მსოფლმხედველობით განათებულმა, ამ მოთხრობამ საფუძველი ჩაუყარა სოციალისტურ რეალიზმს — მხატვრულ მეთოდს, რომელიც საბჭოთა ლიტერატურის წამყვანი მეთოდი გახდა. ცნობილია ამ მოთხრობის ლენინური შეფასება: „...საჭირო წიგნია, ბევრი მუშა მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში შეუგნებლად, სტიქიურად, და ახლა „დედის“ წაკითხვა მათ დიდ სარგებლობას მოუტანს“.

მაგრამ გორკის დამსახურება მარტო ის როდი იყო, რომ შესანიშნავი სიცხადით გვიჩვენა, როგორ ვითარდებიან მუშა-მოზარდის, შემდეგ კი ჭაბუკის სულში რევოლუციური შეგნების ყლორტები, თავისი სამშობლოს და თავისი კლასის რიგითი შვილი როგორ იზრდება მოწიფულ და მამაც რევოლუციონერად, რომელმაც იცის ბრძოლის მიზნები და გზები. ყოფილიყავი მსგავსი მოთხრობის გმირის — პაველ ვლასოვისა, ნიშნავდა არა მარტო იმას, რომ ყოფილიყავი ნათელი გონების, დიდი გრძნობისა და მტკიცე ნების ადამიანი, არამედ იმასაც, რომ ყოფილიყავი შეგნებული მებრძოლი სოციალიზმის გამარჯვებისათვის. უნერგავდა რა მკითხველებს მისწრაფებას დამსგავსებოდნენ თავის გმირს, უჩვენებდა რა, რომ მაღალი მორალურ-პოლიტიკური თვისებანი პაველ ვლასოვსა და მის ამხანაგებს სჩვევიათ არა მარტო როგორც რჩეულ ბედნიერთ, შთააგონებდა რა, რომ კაპიტალისტური მონობის ბორკილისაგან კაცობრიობის განთავისუფლების საქმეში ჩაბმა ყოველ კაცს შესაძლებლობას აძლევს გახდეს ისეთივე, როგორიც პაველ ვლასოვი იყო, გორკის მოთხრობა პირდაპირ და უშუალოდ ემსახურებოდა ამ დიდ საქმეს. პაველ ვლასოვის მაგალითით მილიონობით რუსი ადამიანი სწავლობდა იმას, თუ როგორ უნდა იცხოვრო, რომ შენი ცხოვრებისა კი არ გრცხვენოდეს, არამედ ამაყობდე მით. პაველ ვლასოვიდან, პაველ კორჩაგინის მეშვეობით მომდინარეობს პირდაპირი ისტორიული მემკვიდრეობითობა ოლეგ კოშევოიმდე და სხვა ახალგაზრდა გვარდიელ გმირებამდე.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ მეფის ხელისუფალთა დევნისაგან თავის დასაღწევად გორკი იძულებული იყო სამშობლო ქვეყანა დაეტოვებინა. დასავლეთ ევროპისა და განსაკუთრებით ამერიკის სინამდვილის უშუალოდ გაცნობამ გააღრმავა მწერლის სიძულვილი კაპიტალისტური წყობილებისა და მისი ბატონ-პატრონებისადმი, შესაძლებლობა მისცა საკუთარი თვალით დაენახა ბურჟუაზიული ყალბი დემოკრატიის სიცრუე და სიყალბე.

1905 წლის რევოლუცია განადგურებულ იქნა დასავლეთ ევროპის ბანკირთა წრეების აქტიური დახმარებით, რომლებიც სუბსიდიას აძლევდნენ რუსეთის თვითმპყრობელობას რუსი ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად. გორკიმ გააჩაღა ფართო აგიტაცია იმ სესხების წინააღმდეგ, რომელთა მიღებასაც მეფის მთავრობა ცდილობდა, ხოლო როცა საზღვარგარეთულმა ბურჟუაზიულმა პრესამ გორკის დაუწყო ორგანიზებული დევნა, მან მკაცრი პასუხი გასცა თავის მაგინებელთ. იგი მიმართავდა ბურჟუაზიის ამ „იდეურ“ ლაქიებს და წერდა: „დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მტრები ვართ და შეურიგებელი მტრებიც. პატიოსანი მწერალი მუდამ მტერია... იმათი, ვინც იცავს და ამართლებს გაუმაძღრობასა და შურს, თანამედროვე საზოგადოებრივი ორგანიზაციის ამ მთავარ საყრდენებს...“.

გორკის წილად ხვდა იშვიათი ბედნიერება, რომლისკენაც რუსეთის საუკეთესო ადამიანებს წარსულში შეეძლოთ მხოლოდ მისწრაფება, რომელზეც შეეძლოთ მხოლოდ ოცნება: საკუთარი თვალით ენახათ, თუ როგორ ხორციელდება ხალხის საუკეთესო ნატვრა, თუ როგორ იქცევა სინამდვილედ ის ნათელი, საოცნებო გმირული ცხოვრება, რომლის სახესაც იგი დიდი ხნიდან ელოლიავებოდა თავის გულში. ლენინთან მეგობრობამ, რევოლუციის დიდი ბელადის რჩევებმა და მითითებებმა დახმარება გაუწიეს გორკის დაეძლია ცალკეული რყევანი და შეცდომანი თავის პოლიტიკურ მოღვაწეობაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პატრიოტულ საწყისებს, რომლებიც მუდამ შეადგენდნენ გორკის შემოქმედების სულიერ საფუძველს, მიეცა ახალი განვითარება, მათ მიაღწიეს განსაკუთრებულ სისრულესა და მკაფიობას. სამშობლოსადმი მის სიყვარულს მიეცა უმაღლითო მგზნებარე და ქმედითი ხასიათი. მთელი მისი შემოქმედებითი შეგნება გამსჭვალული იყო სიამაყით ხალხის დიადი მოღვაწეობის გამო, ხალხისა, რომელმაც დაამხო ექსპლოატატორები და საკუთარი ცხოვრების ბატონ-პატრონი გახდა. აღტაცებით ადევნებდა იგი თვალყურს საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურულ წარმატებას, იმ საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ენერგიის განუხრელ და განუწყვეტელ ზრდას, რომლებიც თავიანთ ქვეყანას მშვენიერ აყვავებულ ბაღად აქციევენ.

მხურვალედ და მგზნებარედ ლაპარაკობდა გორკი კომუნისტურ პარტიაზე, როგორც სოციალისტური მშენებლობის აღმაფრთოვანებელ და მაორგანიზებელ ძალაზე. ლენინის სიკვდილის წელს გორკიმ მის შესახებ შექმნა შესანიშნავი მოგონებანი, რომლებიც გამსჭვალულია ბელადის ხაქმეთა წინაშე აღტაცებით. „აი იგი აღარ არსებობს ფიზიკურად,—ამბობდა გორკი ლენინზე,—მისი ხმა კი სულ უფრო მტკიცედ და ძლევამოსილად გაისმის დედამიწის მშრომელთათვის, და უკვე აღარსად არის ისეთი კუთხე, სადაც ეს ხმა არ აღაგზნებდეს მშრომელი ხალხის მისწრაფებას რევოლუციისადმი, ახალი ცხოვრებისადმი, თანასწორ ადამიანთა სამყაროს მშენებლობისადმი. სულ უფრო მეტი რწმენით, მტკიცედ, წარმატებით აკეთებენ დიდ საქმეს ლენინის მოწაფეები, მისი ძლიერების მემკვიდრეები“.

გორკის ფიქრი მიპყრობილია ლენინის დიდი მოწაფის, თანამებრძოლისა და მემკვიდრისადმი — სტალინისადმი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მტკიცედ მიჰყავს ლენინის მიერ დასახული გზით „...განუწყვეტლივ და სულ უფრო სწრაფად იზრდება მსოფლიოში მნიშვნელობა იოსებ სტალინისა, იმ ადამიანისა, რომელმაც ყველაზე ღრმად შეითვისა თავისი მასწავლებლისა და ამხანაგის ენერგია და გაბედულება... ღირსეულად ეწევა მის მაგივრობას პარტიის ბელადის უძნელეს პოსტზე, — წერდა გორკი. — მან ყველა სხვაზე უფრო ღრმად შეიგნო: ნამდვილი და ურყევად რევოლუციურ-შემოქმედებითი შეიძლება იყოს მხოლოდ პეშმარიტი და წმინდა პროლეტარული, პირდაპირი ენერგია, რომელიც აღმოაჩინა და აღაგზნო ლენინმა. ჩინებულად ორგანიზებულმა ნებამ, დიდი თეორეტიკოსის გამჭრიახმა გონებამ, ნიჭიერი პატრონის გამბედაობამ, ნამდვილი რევოლუციონერის ინტუიციამ, რომელსაც უნარი აქვს კარგად გაერკვიოს ადამიანთა რთულ თვისებებში და ამ საუკეთესო თვისებათა დანერგვით ულმობლად იბრძოლოს იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის პირველთ მიაღწიონ უაღრეს განვითარებას, — იგი ლენინის ადგილზე დააყენეს. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი ამაყი და ბედნიერია იმით, რომ მას ჰყავს ისეთი ბელადები, როგორიც სტალინი და ილიჩის სხვა ერთგული მიმდევრები არიან...“

გორკის მგზნებარედ უყვარდა სოციალისტური სამშობლო და დაუღალავად ებრძოდა მის მტრებს. ვერაფერი ვერ შეედრება მისი დარტყმის გამანადგურებელ ძალას, რაც მიმართულია კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ, ამ სამყაროს მხეცური კანონების, მისი პირუტყვული „მორალის“ და მისი ვითომც „კულტურის“ წინააღმდეგ.

გორკი ამტკიცებდა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო თავისი ბუნებით „ამორალურია, დამყარებულია ქურდობაზე, მშრომელი ხალხის ძარცვაზე, ცინიკურ ექსპლოატაციაზე“.

ამათრახებდა რა თანამედროვე ბურჟუაზიულ „კულტურას“, რომელიც მარაზმისა და გახრწნის მდგომარეობაშია, გორკი ცხადყოფდა, რომ წარსულშიც „ბურჟუაზიის როლი კულტურული შემოქმედების პროცესებში ძლიერ გაზვიადებულია“, რომ „ბურჟუაზიას არ გააჩნდა და არ გააჩნია მიდრეკილება კულტურის შემოქმედებისადმი, — თუ ამ შემოქმედებას გავიგებთ უფრო ფართოდ, ვიდრე მხოლოდ გარეში მატერიალური, საყოფაცხოვრებო კეთილმოწყობის განუწყვეტელ განვითარებას და ფუფუნების განვითარებას“.

იგი ამხილებდა ბურჟუაზიული პრესის სიყალბეს, რომელიც მორჩილად ასრულებს თავის ბატონ-პატრონთა ნებას. „პატრონები მათ კვებავენ ცოტად თუ ბევრად გემრიელად და უბრძანებენ: „აბა, ბიჭებო! შექმენით საზოგადოებრივი აზრი!“, — წერს იგი კალმის ბურჟუაზიულ ავაზაკებზე. ხედავდა რა ნაკადს სიყალბისა და ცილისწამებისას, რასაც ჩვენი ქვეყნის შესახებ ავრცელებდნენ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის რეაქციულ პრესაში, გორკი აღნიშნავდა „ბ-ნ ევროპელების დიდ უმეცრებას ყოველივე იმაში, რაც რუს ხალხს ეხება“ და ამბობდა, რომ „იმ ადამიანებს, რომლებსაც გულწრფელად სურთ იცოდნენ სიმართლე საბჭოთა კავშირში ცხოვრების შესახებ, თვალწინ ეფარებათ ჭუჭყიანი ღრუბელი“.

ომის გამჩაღებელთა და მათ თანამონაწილეთა წინააღმდეგ გორკი იყენებდა თავისი ზიზღისა და მრისხანების ყველაზე მახვილ, ყველაზე მომაკვდინებელ ისრებს. ამასთან ერთად მწერალი თავის ღონისძიებებს მიმართავდა იქითკენ, რომ გაეაქტივებინა მშრომელი მასების შეგნება ყველა ქვეყანაში, ჩაენერგა მათთვის რწმენა თავიანთი შესაძლებლობებისადმი, განემტკიცებინა მსოფლიოს პროგრესული, დემოკრატიული ძალების საერთაშორისო სოლიდარობა. „თქვენ შეგიძლიათ არ დაუშვათ ომი, — შთააგონებს იგი ორივე ნახევარსფეროს უბრალო ადამიანებს. — თქვენ და ყველა ადამიანს, რომელთაც შესწევთ უნარი შეიგნონ ევროპის ახალი საერთო ომის უაზრობა და დანაშაულებრიობა, შეგიძლიათ ხელ-ფეხი შეუკრათ ავანტიურისტებს. თქვენ საამისოდ ყველა საშუალება გაქვთ“.

გორკი დაიღუპა როგორც მეომარი, საბრძოლო პოსტზე, იგი მოკლეს ტროცკისტ-ბუხარინელმა ბანდიტებმა — საერთაშორისო იმპერიალიზმის საზიზღარმა ლაქიებმა.

მაგრამ დღესაც ყველა ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, ჩვენი პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანისათვის წინასწარმეტყველურ დარიგებასავით, ხოლო ომის გამჩაღებლებისათვის მკაცრ გაფრთხილებად გაისმის დიდი მწერლის სიტყვები: „...თუ გარდუვალი მომავლის წინაშე შიშით საბოლოოდ თავზარდაცემულნი, ევროპის კაპიტალისტები მაინც გაბედავენ ჩვენს წინააღმდეგ გამოგზავნონ თავიანთი მუშები და გლეხები, საჭიროა მათს სულელ თავს ისე დავარტყათ სიტყვით და საქმით, რომ ეს გახდეს კაპიტალის თავზე უკანასკნელი დარტყმა და ჩაანარცხოს იგი სამარეში, რომელიც მას სწორედ დროზე გაუთხარა ისტორიამ“.

ი. სერგიევსკი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მხატვრული ლიტერატურის ახალი კადრები

ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოთა მკითხველმა ბევრი საინტერესო ახალგაზრდა ავტორის საყურადღებო ნაწარმოები გაიცნო. თავიანთი შემოქმედებითი ნიჭით და მართალი მხატვრული სიტყვით ცოტა ხნის წინათ სრულიად უცნობმა ავტორებმა მკითხველთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს.

ლიტერატურას განუწყვეტლივ ემატება ახალი კადრები. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ლიტერატურული წრის ალმანახი „პირველი სხივი“.[1] ალმანახში მოთავსებულია დამწყები პოეტებისა და პროზაიკოსების ნაწარმოებნი. ამ ნაწარმოებთა მთავარი თემა ჩვენი თანამედროვეობის აქტუალური საკითხებია. ახალგაზრდა შემოქმედთა ლექსები და მოთხრობები ჯანსაღი, ოპტიმისტური განწყობილების გამომხატველია. მათი პოეტური ხმა მკაფიოდ გამოხატავს მახვილი თვალით დანახულ ცხოვრების მოვლენებს, მოწმობს ავტორთა ფართო გონებრივ ჰორიზონტს, იდეური მომზადებისა და მხატვრული ოსტატობის გარკვეულ დონეს. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწარმოებნი მთლიანად დახვეწილი, უნაკლო და სრულყოფილი არიან.

სოციალისტური სამშობლოსადმი, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი გულითადი სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების გრძნობას გამოხატავენ თავიანთ ლექსებში ეთერ ბასილაიშვილი, აკაკი გეწაძე, ნ. გურეშიძე, ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური, ზურაბ ჭუმბურიძე და სხვები.

„საბჭოთა ზეცა კამკამებს ლურჯად,
იქნება ასე კამკამა მარად,
რადგან შენ დგახარ მშვიდობის ბურჯად,
რადგან შენა ხარ მშვიდობის ფარად“. —

მიმართავს ე. ბასილაიშვილი დიდ სტალინს.

ა. გეწაძე ლექსში „ბელადს შევხვდები კიდევ“ გადმოგვცემს ფრონტიდან დაბრუნებული ქართველი ვაჟკაცის ძლიერ სურვილს და რწმენას, რომ იგი კვლავ ნახავს ბელადს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს. გაიმარჯვა რა სამამულო ომში, ჯარისკაცმა ნახა ბელადი მოსკოვში. ახლა იგი თავდადებულად შრომობს კოლმეურნეობაში, ღრმად სწამს, რომ შრომის ფრონტზეც გაიმარჯვებს და ბელადს კიდევ ნახავს. ნაომარი ვაჟკაცი უსაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ „წყარო აქვს პატარა, სოფელიც პატარა, დიდი აქვს სამშობლო, დიდი აქვს ფიქრიც“.

სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი არჩილ სულაკაურის ლექსი „დიდი ბელადისადმი“ გამთბარია გულწრფელი სიყვარულის გრძნობით.

სამამულო ომის თემაზეა დაწერილი ამავე ავტორის პოემა „ლაშა“. პოემა იკითხება მსუბუქად, ინტერესით. ამ ნაწარმოებში კარგად არის მოცემული ხალხთა სტალინური მეგობრობის იდეა.

მაგრამ პოემაში არის ზოგიერთი ნაკლი. პირველი: ფსიქოლოგიურად არ არის დამაჯერებელი, რომ ბავშვს, რომელსაც დედა გარდაეცვალა, არასოდეს არ ეგრძნოს უდედობა. შემდეგ: პოემიდან ჩანს, რომ ფრონტზე წასვლამდე ლაშას უყვარს მეგი და ამ უკანასკნელსაც უყვარს ლაშა. ფრონტზე ლაშა ტყის მცველის „ქერა გოგონას“ შეირთავს, ხოლო მეგიც არ ჩამორჩება და სხვას გაჰყვება ცოლად. განა ასეთი საქციელი ჩვენი ახალგაზრდობის დამახასიათებელია? პოემაში ცხვდებით ზოგიერთ ბუნდოვან გამოთქმას, არასწორ შედარებებს. მაგალითად: „და მოგონება — თითქოს ერქანი ძაფისგან — თავის დახსნას ლამობდა“; „დღეები, როგორც მორჩილნი ქალნი, ზამთრის გაყინულ ნებას მინებდნენ“; „ცა იყო პერანგგადახეული, ოთახებიდან ჩანდა აპრილი“, „და ღამის გული მზესთან გაფრინდეს, სული წაიღოს სინათლის ღმერთთან“.

არჩილ სულაკაური ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედია. მით უფრო მეტს მოვითხოვთ მისგან. მან მეტი უნდა იმუშაოს პოეტური სახეების დახვეწაზე, უნდა ერიდოს „ლამაზი სტრიქონის“ შექმნით ზედმეტად გატაცებას და იგი თვითმიზნურ ვარჯიშად არ აქციოს.

საბჭოთა სპორტის გამოჩენილი ოსტატის ალექსანდრე ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილია ირაკლი არაბულის ლექსი „ალექსანდრე ჯაფარიძის ნათქვამი“ და ვალერიან სალლიანის თითქმის ამნაირადვე დასათაურებული (რისთვისაც კრებულის რედაქციას უნდა მიექცია ყურადღება) ლექსი „ალექსანდრე ჯაფარიძის თქმული“.

უთუოდ ყურადღების ღირსია სხვა ავტორთა ნაწარმოებნიც. მათგან უნდა აღინიშნოს თენგიზ ბუაჩიძის გულთბილი განცდით დაწერილი ლექსი „გზაზე“, რომელშიც ჩანს ავტორის მხატვრული ალღო და გემოვნება, გიორგი გელაშვილის „ძლევა სიკვდილისა“, სადაც იგი იძლევა ომში გმირულად დაღუპული ქართველი მებრძოლის მშვენიერ სურათს. საბჭოთა მებრძოლის მამაცობა და ქედუხრელობა ავტორმა გამოხატა შემდეგი სიტყვებით:

„ასე სძლია მან სიკვდილი,
ძმებო, მე მის სახელს ვფიცავ, —
მიწაზე არ მიწოლილა,
თვით მის მკერდზე მიწვა მიწა“.

აღსანიშნავია ზურაბ კაკაბაძის ლექსი „კოლმეურნე“, შოთა ლომსაძის „მოლოდინი“ და „მესხეთს ვაშენებ“, ბაგრატ მაზანაშვილის „სიმღერა ხრამის ელვაზე“, ნოდარ შამანაძის „ფიცი კომკავშირს“, ზურაბ ჭუმბურიძის „შვიდი ჰადარი“ და სხვ.

მხატვრული პროზის ნიმუშები ალმანახში შედარებით მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვახტანგ კეკელიძის მოთხრობა „ღრუბლები მიდიან“. ამ ნაწარმოებში აწერილია დიდი სამამულო ომის პერიოდი. მოვლენების გადმოცემაში იგრძნობა ასაწერი ამბების კარგად შესწავლა და ტექსტის მხატვრული დამუშავება. აქვე საჭიროა გავაკეთოთ რამდენიმე შენიშვნა: პატარა ბიჭუნა ბორია, მისი ასაკისათვის შეუფერებელი, ზედმეტი სერიოზულობით მსჯელობს. აი როგორ ლაპარაკობს ეს პატარა ბავშვი 1942 თუ 1943 წელს ფაშისტების შესახებ, როცა იგი, ალბათ 3-4 წლისა იყო:

„—მერე, რომ არ წამოვიდნენ საბრძოლველათ? რას უზამს მაგათ ის ცუდი კაცი? (ნაგულისხმევია ჰიტლერი— ვ. ბ.) ეგენი ბევრი არიან, ის კი ერთია. ხომ შეუძლიათ, რომ მოერიონ? ეგენიც ხომ კვდებიან აქ?—მოჰკლავენ, მაშ რას იზამენ, ვინ დაანებებს რომ ეგენი ჩემი ქვეყნის პატრონები გახდნენ? მამიკო მეუბნებოდა—მაგათ უნდათ ჩვენი ქვეყანა ხელში ჩაიგდონო...“.

ენის კანონს ზუსტად არ იცავს ავტორი, როცა ამბობს: „სამი იარაღით დატვირთული საბარგო მანქანა მომიწყვიტეს კოლონას“; „ლირიულ გატაცებას, რომელიც თანდათან ჩემს დამორჩილებას აპირებდა, ძალად წავგლიჯე თავი მაცდურ ხელებიდან“; „მასე იყაეს“, „ხუჭუჭა თავზე“ და სხვ.

კარგად იკითხება რევაზ ინანიშვილის ლიტერატურული ეტიუდი „სახსოვარი“. ცუდი არ იქნება, თუ გამომცემლობა მომავალშიც სათანადო ყურადღებას მიაქცევს ეგრეთწოდებული „მცირე ტილოების“ — ლიტერატურული ესკიზების, ეტიუდების, პატარა ზომის მოთხრობების, ნოველების ჟანრს.

დასრულებული მხატვრული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს ქ. კასრაძის მოთხრობა „მზის ამოსვლამდე“. მასში ავტორს დამაჯერებლად აქვს ასახული საბჭოთა სპორტსმენების გმირობა, გამბედაობა და კეთილშობილება, ჩვენი ქვეყნის ადამიანთა შორის შექმნილი ახალი ურთიერთობა.

საინტერესო თემაზეა დაწერილი მ. თოდუას მოთხრობა „იდუმალი წარწერა“. მშვენივრად არის დახატული პროფესორის მიმზიდველი სახე, ჩვენი მეცნიერების ახალგაზრდა კადრების ცხოვრება და შემოქმედებითი შრომა. მაგრამ მოთხრობის მთავარი გმირი რევაზ იაშვილი ვერ ტოვებს მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდის შთაბეჭდილებას. მეცნიერებისადმი სიყვარული და თავდადება როდი შეიძლება აისახოს არანორმალურობამდე მისული ადამიანის ცხოვრების აღწერით.

ალმანახში მოთავსებულია ორი თავი შალვა ჩიჩუას რომანიდან „ღელვა“. ეს ნაწყვეტები საინტერესო საკითხავი მასალაა, მაგრამ ამ თავების მიხედვით რომანის მთლიანად შეფასება ძნელია.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთი შენიშვნის გაკეთება. ე. ბასილაიშვილის ლექსს სათაურით „პუშკინს“ ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს დაჭრილი პოეტის უკანასკნელი სიტყვები ასეთი რედაქციით: „სიცოცხლე დასრულდა, მძიმეა“. გაუგებრობის გასაფანტავად უნდა აღინიშნოს, რომ სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე პუშკინის უკანასკნელი სიტყვები იყო: „Тяжело дышать, давит“, რაც ქართულად ასე უნდა ითარგმნოს: „სუნთქვა მიმძიმს, სული მეხუთება“.

ამ ზოგიერთ დეფექტს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ლიტერატურული ალმანახი „პირველი სხივი“ უდავოდ საყურადღებო და მისასალმებელი მოვლენაა.

ვ. ბახტურიძე

[1] „პირველი სხივი“, I. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1950 წ.

სსრ კავშირში ჩამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია

16 ივნისს ბუქარესტიდან მოსკოვს ჩამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია რუმინეთის მიწათმოქმედების სამინისტროს მრჩევლის პ. შტეფანის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან აგრონომები, მექანიკოსები, ტრაქტორისტები.

სტუმრებს კიევის ვაგზალზე შეხვდნენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე პ. ს. კუჩუმოვი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე სსრ კავშირში რუმინეთის საელჩოს წევრები რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ს. ბუგიჩის მეთაურობით. (საკდესი).

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოში

კალათბურთში, ფრენბურთსა და ქალაქობიაში „საკავშირო პროფსაბჭოს თასზე“ შეჯიბრების შესახებ

პროფკავშირთა ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებებში მასობრივი მუშაობის შემდგომი განვითარების მიზნით 1950 წელს მოეწყობა შეჯიბრება „საკავშირო პროფსაბჭოს თასზე“ ფრენბურთში, კალათბურთსა და ქალაქობიაში. გათვალისწინებულია ივნის-ივლისში მოეწყოს საქალაქო და საოლქო შეჯიბრება სპორტის ამ სახეებში ფიზკულტურის კოლექტივებს შორის უძლიერესი გუნდების გამოსავლინებლად.

პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებს და ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა ცენტრალურ საბჭოებს წინადადება მიეცათ მოაწყონ „პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თასზე“ შეჯიბრებაში ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების კალათბურთის, ფრენბურთისა და ქალაქობიის გუნდების მომზადება და მონაწილეობა.

დამტკიცებულია „შეჯიბრების დებულება“. (საკდესი).

პ ა რ კ ი ს კ ე თ ი ლ მ ო წ ყ ო ბ ა

ფოთი. (საქ. კორ.). სერიოზული სამუშაოები წარმოებს ქალაქ ფოთის პარკის კეთილმოსაწყობად. პარკში აშენებენ საზაფხულო თეატრს, საცეკვაო და ფიზკულტურულ მოედნებს, ბიბლიოთეკას და ესტრადას.

პარკის კეთილმოწყობაზე დაიხარჯება 600.000 მანეთი.

დასავლეთ გერმანიას აშკარად აქცევენ ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო პლაცდარმად

ბონის „პარლამენტმა" ხმა მისცა დასავლეთ გერმანიის შესვლას ევროპის საბჭოში

ბერლინი, 16 ივნისი. (საქდესი). ბონის „პარლამენტმა" გუშინ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ დასავლეთი გერმანია შევიდეს ეგრეთწოდებულ ევროპის საბჭოში.

კანონპროექტს ხმა მისცეს კოალიციური მთავრობის სამი პარტიის — ქრისტიან-დემოკრატთა კავშირის, „თავისუფალი დემოკრატიული პარტიისა" და „გერმანელთა პარტიის" — დეპუტატებმა და უკიდურესმა მემარჯვენე „გერმანიის იმპერიის პარტიამ". კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტურმა პარტიამ, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და ცენტრის პარტიამ.

ბონის „პარლამენტის" სხდომაზე გამოსულმა კომუნისტმა დეპუტატმა ნუდინგმა განაცხადა: „დასავლეთ გერმანიის შეყვანა „ევროპის საბჭოში" და საფრანგეთის, ლუქსემბურგისა და ბელგიის მძიმე მრეწველობასთან რურის ოლქის მძიმე მრეწველობის გაერთიანება გადამწყვეტი შემადგენელი ნაწილია იმ სამხედრო გეგმებისა, რასაც სახავს ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც ცდილობს მესამე მსოფლიო ომის გზით მოიპოვოს მსოფლიო ბატონობა".

კომუნისტმა დეპუტატმა მოაგონა სხდომას ბონის პრემიერ-მინისტრის ადენაუერის ინტერვიუ, რომელიც მან 19 მაისს მისცა ერთ ამერიკელ ჟურნალისტს. ამ ინტერვიუში, რომელიც გერმანიაში არ გამოქვეყნებულა, ადენაუერმა სიტყვასიტყვით განაცხადა: „თუ ევროპის საბჭოში შევედით, ამით გაღრმავდება აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გათიშვა".

გერმანიის მთელი პროგრესული ძალები მტკიცე პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ დასავლეთი გერმანია შევიდეს „ევროპის საბჭოში", რომელიც წარმოადგენს ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკის დამხმარე ორგანოს.

ბონის პარლამენტის ქრისტიან დემოკრატთა კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის ფრაქციისადმი საქსონიის მხარის ქრისტიან დემოკრატთა კავშირის გამგეობის ღია წერილში, რომელიც გაზეთ „ნოიე ცაიტში" გამოქვეყნდა, ნათქვამია: „ევროპის საბჭოში" დასავლეთ გერმანიის შესვლა არა მარტო განუსაზღვრელი დროით გააჭიანურებს და გააძლიერებს ჩვენი სამშობლოს პოლიტიკურ გათიშვას, არამედ აგრეთვე დასავლეთ გერმანიის მხარეებს შეიყვანს ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული პაქტის სისტემასა და აპარატში".

„დასავლეთ სახელმწიფოთა ღონისძიებანი, — ნათქვამია შემდეგ წერილში, — მიმართულია იმისაკენ, რომ დასავლეთი ევროპა და დასავლეთი გერმანია გადააქციონ კოლონიად და ახალი მსოფლიო ომის პლაცდარმად".

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტბიურო თავის განცხადებაში დასავლეთი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებათა გამო აღნიშნავს, რომ ამ კონფერენციაზე მიღებული „გადაწყვეტილება „ევროპის საბჭოში" ბონის „ფედერალური რესპუბლიკის" დაჩქარებით მიღების შესახებ საბოლოო ანგარიშით სხვა არაა არის რა, თუ არა დასავლეთ გერმანიის შეერთება ომის ბანაკთან. სრულიად უუფლებო დასავლეთმა გერმანიამ დასავლეთი იმპერიალიზმის ველურ ექსპანსიონისტურ და სამხედრო პოლიტიკაში მორჩილი იარაღის როლი უნდა შეასრულოს".

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს რეზოლუცია

პარიზი, 17 ივნისი. (საქდესი). გუშინ გაიმართა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური ბიუროს სხდომა.

პოლიტიკური ბიურო აღნიშნავს, — ნათქვამია პოლიტბიუროს მიერ მიღებულ რეზოლუციაში, — რომ ომის გამჩაღებლები სულ უფრო აძლიერებენ აგრესიისათვის მზადებას, რასაც მოწმობს, კერძოდ, შუმანის გეგმა, რომელშიც ხაზგასმულია ამერიკელი იმპერიალისტების განზრახვა — დასავლეთი გერმანია გადააქციონ თავიანთ სამხედრო და ეკონომიურ ბაზად ევროპის კონტინენტზე. შუმანის გეგმა აძზადებს საფრანგეთის დამორჩილებას ბონის გერმანიისადმი, რომელიც თვით ემორჩილება ამერიკის ბატონობას. ეს გეგმა ამზადებს საფრანგეთის დეზინდუსტრიალიზაციას, ეკონომიური მოდუნების გაძლიერებას, საფრანგეთის მშრომელი მასების უმუშევრობის ზრდასა და შემდგომ გაღატაკებას.

შუმანის გეგმა სულ უფრო მწვავე რეაქციას იწვევს არა მარტო მუშათა კლასის რიგებში, არამედ მოსახლეობის გაცილებით უფრო ფართო ფენებშიც.

საჭიროა, — ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, — სულ უფრო მზარდი ენერგიით განვავითაროთ სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია.

პოლიტიკური ბიურო მოუწოდებს პარტიის წევრებს ყოველი რწმენის მშვიდობის მომხრეებთან ერთად და უალრესად ფართო გაერთიანების სულისკვეთებით აქტიური მონაწილეობა მიიღონ ატომური იარაღის აკრძალვის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვებაში, რათა ვიხსნათ მშვიდობა...

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ პოლიტიკური ბიურო აღშფოთებით აცხადებს პროტესტს მგზნებარე პატრიოტის რაიმონდ დიენისათვის სამხედრო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის წინააღმდეგ. პოლიტიკური ბიურო გმობს რაიმონდ დიენისადმი უალრესად საზიზღარი კანონის გამოყენებას და ამხილებს მთავრობის განზრახვას — ეს კანონი გამოიყენოს მშვიდობის დამცველთა მიმართ ქალაქ როანში, ნანტში, სენ-ბრიეში, კანში და სხვაგან.

პოლიტიკური ბიურო ამხილებს იმ რეპრესიებს, რომლებიც მიმართულია კომუნისტი დეპუტატების ფლორიმონ ბონტის, მარი ლამბერისა და ალენ სინიორის წინააღმდეგ, აგრეთვე ამხილებს სულ უფრო მეტ მოთხოვნას დეპუტატებისათვის საპარლამენტო ხელშეუხებლობის ჩამორთმევის შესახებ.

პოლიტიკური ბიურო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთ მდგომარეობაში საჭიროა მოეწყოს მხარდაჭერა მშვიდობის მომხრეებისათვის, რომლებიც დაპატიმრებული არიან, და იმათთვის, რომლებიც დევნას განიცდიან. საჭიროა გამოვუცხადოთ მათ ხალხის ქმედითი სოლიდარობა და გავაძლიეროთ რეპრესიების წინააღმდეგ მასების ბრძოლა, რაც საბოლოო ანგარიშით ომის გამჩაღებელთა დანაშაულებრივი გეგმების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მხარეა.

ქ. სტალინირი. საბჭოების სახლი. ფოტო ვ. უბოჟენკოსი

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები თბილისში

გუშინ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიწყო ქუთაისის სახელმწიფო თეატრის გასტროლები, რაც 2 ივლისამდე გასტანს. პირველ წარმოდგენად ნაჩვენები იქნა ფ. შილერის „ყაჩაღები" (დადგმა რესპუბლიკის სახალხო არტისტ დოდო ანთაძის, მხატვრული გაფორმება — შ. ქორქოლაძის, მუსიკა — პროფესორ კ. მეღვინეთუხუცესის). როლებს ასრულებდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ვ. ჩხიკვაძე (მაქსიმილიან მოორი), ა. მურუსიძე (პასტორი მოზერი), კ. აბესაძე (პატერი), მსახიობები: ვ. მეგრელიშვილი (კარლი), შ. პირველი (ფრანცი), მ. გელაშვილი (ამალია), გ. ნაცვლიშვილი, ა. კალანდარიშვილი, ქ. გიორგობიანი, შ. ქარცივაძე, ვ. ბერძენი, ვ. გვენცაძე, ა. ქელბაქიანი, ა. მოწონელიძე, ლ. შენგელია, ა. ჩიქვინიძე და სხვები.

სპექტაკლი თბილისელმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

საავტომობილო კროსი თბილისის პირველობაზე

14 ივნისს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტმა პირველად მოაწყო საავტომობილო კროსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ავტოსპორტსმენებმა პირადი მანქანებით, აგრეთვე თბილისის ავტოპარკის ავტომობილისტებმა ტაქსმოტორებით.

შეჯიბრება მოეწყო მლაშე ტბების რაიონში. სპორტსმენებს უხდებოდათ აღმართების, ფონის, უგზოობის დაძლევა. მთელი მანძილი 80 კილომეტრი იყო.

სტარტზე პირველნი გადიან „მოსკვიჩის" მარკის მანქანები. პირველ 60 კილომეტრზე წინ იყო ავტომოტოკლუბის წარმომადგენელი ე. მოშიაშვილი, მაგრამ საჭის დაზიანების გამო იგი ტრასზე 6 წუთს დაყოვნდა და მას გაუსწრო ისრაელიანმა, რომელმაც 80 კილომეტრი გაიარა 1 საათში, 32 წუთსა და 14,2 წამში. მეორე ადგილზე გამოვიდა ე. მოშიაშვილი. მისი შედეგია 1 საათი, 35 წუთი და 56,4 წამი.

შემდეგ სტარტს იღებს 10 მანქანა „პობედა". ამ შეჯიბრების მონაწილეთა შორის არიან სპორტსმენები კოტიაშვილი, ბარსეგოვი, ჩარკვიანი, ლარიბოვი, მუსხელი, ესაიანი, აზნაუროვი და სხვები. მონაწილეთა შორის პირველი წუთებიდანვე მწვავე ბრძოლა ჩაღდება. წინ არიან ლარიბოვი და ბარსეგოვი. მეოთხე წრეზე ბარსეგოვმა გაუსწრო მოწინააღმდეგეებს და დისტანცია დაფარა 1 საათში, 7 წუთსა და 31 წამში. ლარიბოვის შედეგია 1 საათი, 12 წუთი და 11,1 წამი. შეჯიბრება კარგად იყო მოწყობილი. ზუსტად მუშაობდა მსაჯთა აპარატი.

მშვიდობის მტრები

პოლონეთის კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპატმა უარი თქვა სტოკჰოლმის მოწოდების ხელმოწერაზე

ვარშავა, 15 ივნისი. (საქდესი). იმის გამო, რომ დამთავრდა სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია, გაზეთი „პოლსკა ზბროინა" სტატიაში „მშვიდობის მტრებმა უარი თქვეს სტოკჰოლმის მოწოდების ხელმოწერაზე" წერს:

პოლონეთში სტოკჰოლმის მოწოდებას ხელი მოაწერა 17 მილიონზე მეტმა კაცმა. 17 მილიონი კაცი ჩვენი ქვეყნის თითქმის მთელი მოზრდილი მოსახლეობაა. პოლონეთში თითქმის ყველა ქალმა და მამაკაცმა მოაწერა ხელი მოწოდებას და ამით დაამტკიცა, რომ მათ ომი არა სურთ და მზად არიან მშვიდობისათვის იბრძოლონ.

ყოველმა პატიოსანმა პოლონელმა, რომელსაც მშვიდობა სწყურია, თავისი სამშობლო და თავისი ხალხი უყვარს, მოაწერა ხელი მოწოდებას.

მაგრამ, წერს გაზეთი, ჩვენს ქვეყანაში აღმოჩნდა ერთი მუჭა ადამიანები, რომლებსაც პირადი ბინძური ინტერესები სამშობლოზე ძვირად უღირთ. ეს ადამიანები არ მოერიდნენ იმას, რომ უარი ეთქვათ სტოკჰოლმის მოწოდების ხელმოწერაზე. ყოფილმა მემამულეებმა, ექსპროპრიირებულმა კაპიტალისტებმა, სპეკულანტებმა, უპატიოსნო და ურწმუნო ადამიანებმა გადაწყვიტეს თავი დაუპირდაპირონ მთელი ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის ნებას.

ვარშავის ნახევარ მილიონ მოზრდილ მცხოვრებში სულ 139 კაცი აღმოჩნდა, რომლებმაც უარი თქვეს ხელი მოეწერათ სტოკჰოლმის მოწოდებაზე. ამ ადამიანებს შორის არიან პოლონელი ეპისკოპოსები. კათოლიკური ეკლესიის მესვეურებმა გადაწყვიტეს წავიდნენ ხალხის წინააღმდეგ, კათოლიკე ქსენძების დიდი უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელთაგან ბევრი აქტიურად მონაწილეობდა მშვიდობის მომხრეთა საზოგადოებისა და კომიტეტების მუშაობაში. ეპისკოპოსები ჩვენი სამშობლოს დაუძინებელი მტრების მხარეზე გადავიდნენ. ისინი ვატიკანის პოლიტიკის გულისათვის გაემიჯნენ ხალხს. მათ ხელი შეაჩერა ანტიპოლონურმა, ვატიკანის პოლიტიკამ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვაშინგტონის პოლიტიკამ. მათ ხელი არ მოაწერეს მშვიდობის დაცვის მოწოდებას და, ამრიგად, დაადასტურეს, რომ არა სურთ პატიოსნად შეასრულონ მთავრობასა და ეპისკოპატს შორის დადებული შეთანხმების პირობები, შეთანხმებისა, რომლის მე-9 პუნქტში ნათქვამია: „ეპისკოპატი კათოლიკური ეკლესიის მოძღვრების შესაბამისად მხარს დაუჭერს მშვიდობის შესანარჩუნებლად მიმართულ ყველა ღონისძიებას, შეძლებისდაგვარად წინააღმდეგობას გაუწევს ომის გამოწვევისაკენ მიმართულ ყველა მისწრაფებას".

ეპისკოპოსები წავიდნენ ვატიკანის პოლიტიკის, პოლონეთისადმი მტრული, მშვიდობის საქმისადმი მტრული პოლიტიკის ხაზით. მაგრამ მშვიდობის ერთი მუჭა მტრები, წერს დასასრულ გაზეთი, ვერ დააბრკოლებენ მილიონობით ადამიანთა ნებას. 17 მილიონი პოლონელი და ასეულ მილიონობით მშვიდობის მომხრე მთელ მსოფლიოში შეძლებენ ჩაუშალონ გეგმა ომის გამჩაღებლებს, შეძლებენ უზრუნველყონ მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

დანიელი ხალხი გმობს ატლანტიკის პაქტს

კოპენჰაგენი, 16 ივნისი. (საქდესი). დანიაში ამერიკის სამხედრო მისიის ხელმძღვანელმა გენერალმა სნევილმა კონსერვატიულ გაზეთ „ოლბორგ სტიფტსტიდენდეს" ფურცლებზე უკმაყოფილება გამოთქვა აგრესიული ატლანტიკის პაქტისადმი დანიელების დამოკიდებულების გამო. მისი აზრით, დანიელებს „ცუდად ესმით", თუ რას წარმოადგენს ატლანტიკის თანამშრომლობა. გენერალი იმ დასკვნამდე მიდის, რომ დანიელებს გაკვეთილი უნდა მიეცეთ.

„მოსახლეობას, — განაცხადა სნევილმა, — ზუსტად უნდა განემარტოს, თუ რა გარანტიებს ანიჭებს მას თანამშრომლობა და რა ვალდებულებას აკისრებს... საჭიროა დანიელ ხალხს წაუკითხონ ლექციების ელემენტარული კურსი ატლანტიკის პაქტზე".

გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი" კომენტარს უკეთებს სნევილის განცხადებას და წერს:

„აგრესიისათვის მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსები—აი რის მოწყობას გვირჩევს ამერიკელი გენერალი დანიელი ხალხისათვის. დანიელი ხალხის დიდმა უმრავლესობამ შეიგნო, რომ ატლანტიკის პაქტი ომის იარაღია და მეტი არაფერი და ამ პაქტში მონაწილეობა იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას ახალ ომში ჩაითრევენ. გარდა ამისა, პირველი დღიდანვე ყველაზე მოწინავე პოზიციაზე აღმოჩნდება თუ გენერალმა სნევილმა და კომპანიამ განახორციელეს დანაშაულებრივი აგრესიული გეგმები".

სტატია მთავრდება სიტყვებით, რომლებსაც სულ უფრო მეტი დანიელი ეთანხმება: „გაეთრიონ ამერიკელები დანიიდან! დანია უნდა გამოვიდეს ატლანტიკის პაქტიდან!".

როცა მოყვარეს მტრობენ და მტერს მოყვრობენ...

ავსტრიის მთავრობა ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტთა ხელშემწყობი გახდა. ამას წინათ ავსტრიის კანცლერმა ფიგლმა განაცხადა, რომ მშვიდობის დაცვის რეზოლუციაზე ყოველგვარი ხელმოწერა მიაჩნია „გამცემლობად ავსტრიელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების მიმართ" (გაზეთებიდან).

კოლორადოს ხოჭო: სწრაფად, ბიჭებო, ვიდრე მასპინძლები „მშვიდობის მტრედთან" ბრძოლით არიან გართულნი, მოვასწროთ მათი ულუფით პირის ჩატკბარუნება.

ნახატი ი. ქოქიაშვილისა

ალბანეთის მთავრობის ნოტა იუგოსლავიის მთავრობისადმი

ტირანა, 16 ივნისი. (საქდესი). როგორც ალბანეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, ალბანეთის საქმეთა რწმუნებულმა ბელგრადში 10 ივნისს იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა ნოტა, რომელშიც გამოთქმულია მკვეთრი პროტესტი დანაშაულებრივი შეიარაღებული პროვოკაციის გამო, რაც 1950 წლის 31 მაისს მოაწყეს იუგოსლავიის ხელისუფლებმა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

31 მაისს 20 საათზე 11 და 12 სასაზღვრო ნიშნებს შუა მდებარე ზონაში დაზგიანი ტყვიამფრქვევით, ავტომატებითა და შაშხანებით შეიარაღებული 20-მდე იუგოსლაველი ჯარისკაცი 600 მეტრზე შემოვიდა ალბანეთის ტერიტორიაზე და თავს დაესხა ალბანეთის პოსტს კორჩიაში. 20 წუთის ბრძოლის შემდეგ იუგოსლავის ჯარისკაცები იძულებული გახდნენ თავის ტერიტორიაზე დაბრუნებულიყვნენ.

ინგლისელი მეცნიერი ატომისტის განცხადება

ლონდონი, 16 ივნისი. (საქდესი). ინგლისსაბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების განყოფილებამ ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით ისლინგტონში მოაწყო მიტინგი. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა მეცნიერმა ატომისტმა პროფესორმა ბუროპმა. მან მოუწოდა ატომური ბომბის აკრძალვისაკენ, რაც პირველ ნაბიჯს წარმოადგენს ხანგრძლივი საყოველთაო მშვიდობის დამყარებისათვის.

პროფესორმა ბუროპმა, რომელიც ომის დროს მუშაობდა შეერთებულ შტატებში ატომის ენერგიის განვითარების გეგმებზე, განაცხადა, რომ ატომური შეიარაღების განვითარებას შეერთებულ შტატებში განაპირობებს საბჭოთა კავშირისადმი მტრული დამოკიდებულება. ის დაწვრილებით შეეხო წინადადებებს ატომის ენერგიის განვითარებისადმი კონტროლის შესახებ, რომლებიც წამოაყენეს ერთი მხრივ შეერთებულმა შტატებმა და მეორე მხრივ საბჭოთა კავშირმა.

მან განაცხადა, რომ ბარუხის წინადადებათა ძირითადი ნაკლოვანება ის არის, რომ შეერთებულმა შტატებმა წინანდებურად შეინარჩუნონ ატომური ბომბის მონოპოლია. ბუროპმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის კონტრწინადადებანი არსებითად წყვეტენ პრობლემას და საჭიროა ისინი მივიღოთ განხილვის საფუძვლად.

შემდეგ ბუროპი შეეხო მოძრაობას ატომური ბომბის აკრძალვისათვის და თქვა: „ჩემი აზრით, იმის მიზეზი, რომ ინგლისის მთავრობას არ სურს განაცხადოს, ატომურ ბომბს არ გამოვიყენებთო, ის არის, რომ დასავლეთ სახელმწიფოთა სამხედრო და პოლიტიკური სტრატეგია დამყარებულია ატომურ ბომბზე. აღიარებულია, რომ ატომური ბომბი შეადგენს ჩვენი დიპლომატიის მეტად მნიშვნელოვან ნაწილს, რადგან ჩვენ მას ვიყენებთ როგორც კოზირს აღმოსავლეთ ევროპაში ჩვენი პოლიტიკის განხორციელებისათვის".

ბუროპმა ინგლისის მთავრობას ბრალი დასდო, რომ იგი არასწორ წარმოდგენას უქმნის ინგლისელ ხალხს საბჭოთა მთავრობის პოზიციის შესახებ ატომის ენერგიისადმი კონტროლის საკითხში. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ატომის ენერგიისადმი კონტროლის საკითხში შეთანხმება მნიშვნელოვნად გააადვილებს შეთანხმების მიღწევას სხვა საკითხებში.

„მე აღშფოთებული ვარ, — თქვა ბუროპმა, — მაკნეილისა და აჩესონის პოზიციის გამო, რომლებიც მხოლოდ იმას ფიქრობენ, რომ ცივი ომი გაგრძელდება მრავალი წლის განმავლობაში.

საბჭოთა კავშირმა გვიჩვენა, თუ როგორ შეიძლება ატომის ენერგიის სამშვიდობო მიზნით გამოყენება. საბჭოთა კავშირმა ამის თვალსაჩინო გაკვეთილი მოგვცა, თუ როგორ გამოვიყენოთ მეცნიერება ხალხის საარსებო დონის ამაღლებისათვის. ხალხებმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში თავიანთ მთავრობებს უნდა დაუმტკიცონ, რომ საჭიროა ატომური ბომბის აკრძალვა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ყველა გადაუწყვეტელ საკითხზე შეთანხმების მიღწევა".

ირანის გაზეთი ინგლის-ამერიკის საიდუმლო ხელშეკრულების შესახებ

თეირანი, 16 ივნისი. (საქდესი). გაზეთი „ხოშნუდი" ეყრდნობა უცხოეთის პოლიტიკური წრეებიდან მიღებულ ცნობებს და ამტკიცებს, რომ „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის დაიდო საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულება, რომელიც ეხება ირანს, თურქეთს, ერაყსა და ავღანეთს და მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

ლ ე ქ ც ი ე ბ ი

20 ივნისს, საღამოს 8 ს. 30 წ. საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) აწყობს ლექტორ **გრ. ჯაფარიძის** ლექციას თემაზე: **„დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი".**

ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოსურათი „გორკის ბავშვობა".

ბილეთების წინასწარ შეძენა შეიძლება საზოგადოების რწმუნებულებთან, ლექციის დღეს — სალაროში.

21 ივნისს, საღამოს 8 ს. 30 წ. საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება და მასწავლებლის სახლის დირექცია მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) აწყობენ საზოგადოების ნამდვილი წევრის დოცენტ **მ. სააკაშვილის** ლექციას თემაზე: **„ძილით მკურნალობის მეცნიერული საფუძვლები".**

ბილეთების წინასწარ შეძენა შეიძლება საზოგადოების რწმუნებულებთან, ლექციის დღეს — სალაროში.

იმიერკარპატის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი გორში

საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ფილარმონიის მიერ საგასტროლოდ მოწვეული იმიერკარპატის ოლქის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ეწვია ქალაქ გორს.

ანსამბლის შემადგენლობამ დღისით დაათვალიერა სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა. ხოლო საღამოს გორის კულტურისა და დასვენების პარკში გამართა კონცერტი. შესრულებულ იქნა სიმღერები დიდ ბელადზე, სოციალისტურ სამშობლოზე.

სადიპლომო ნაწარმოებთა საჯარო დაცვა

19 ივნისიდან 24 ივნისამდე თბილისის სამხატვრო აკადემიაში (გრიბოედოვის ქ. № 22) ეწყობა სტუდენტთა სადიპლომო ნაწარმოებების საჯარო დაცვა.

დასაწყისი დილის 11 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

19 ივნისს

7.20 — გადაცემა გლეხობისათვის: „ყოველმხრივ განვავითაროთ მეფრინველეობა". 9.15 — ვალსები. 17.20 — პოლონური მუსიკის კონცერტი. 17.40 — გადაცემა სკოლამდელთათვის: საბავშვო სახლის აღსაზრდელები მიკროფონთან. 18.20 — არიები ქართველ კომპოზიტორთა ოპერებიდან საქართველოს რადიოკომიტეტის სოლისტის ლევან დევდარიანის შესრულებით. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.15 — რუს კომპოზიტორთა რომანსები. 20.30 — გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების" ახალი ნომრის მასალები. 20.50 — ქართული ხალხური სიმღერები. 21.25 — საუბარი: საკოლმეურნეო წყობილების წარმატება. 22.45 — საუბარი „გორკი და მუსიკა".

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

18 ივნისს: ოპერისა და ბალეტის — „ალი" (დღისით), „ფაუსტი" (მე-3 აბ. მე-14 სპექტაკლი, ნ. შპილერის მონაწილეობით); **მარჯანიშვილის სახელობის** — „უჩა უჩარდია" (ქუთაისის თეატრის სპექტაკლი); **გრიბოედოვის სახელობის** — „ქალიშვილი სურით" (დღისით), „ყოველთვის ყველიერი როდია" (საღამოთი); **სომხური დრამის** — „სახლი შესახვევში" (გრიბოედოვის სახელობის თეატრის სპექტაკლი); **მუსიკალური კომედიის** — „ჩემი გიუზელი" (დღისით), „მხიარული ქვრივი" (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „გაქვავებული ქალაქი" (21, 41 აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „ორი ბატონის მსახური" (8 ს. 30 წ.).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1950 წ. 28 ივნისს, დღის 1 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მ. გაფრინდაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„გიორგი წერეთლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი".**

ოფიციალური ოპონენტები: დოცენტი-დოქტორი ი. ცინცაძე, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი **ლ. ებანოიძე.**

ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1950 წ. 28 ივნისს, დღის 2 საათზე, № 107 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ი. ვ. შარაშენიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მარქსიზმ-ლენინიზმი საზოგადოებრივი მოვლენებისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომის შესახებ".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი-დოქტორი **პ. შარია**, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი **ქ. აქბარდია.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1950 წ. 28 ივნისს, დღის 1 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ქ. ძოწენიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„სახელთა ბრუნება პავლეს ეპისტოლეების ძველი რედაქციის ხელნაწერთა მიხედვით".**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი-დოქტორი ვ. თოფურია, პროფესორი-დოქტორი ი. აბულაძე.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრების მორიგი მე-4 საერთო კრება მოწვეულია ქ. თბილისში 19 ივნისს.

სხდომები იწარმოებს ძერჟინსკის სახელობის კლუბში (ბესიკის ქ. № 4).

ადვოკატების რეგისტრაცია იწარმოებს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმში 19 ივნისს 10-დან 5 საათამდე, ძერჟინსკის სახელობის კლუბში 5-დან 7 საათამდე.

შვილები მარგო, ქეთო, რუსუდანი, თენგიზი, შვილიშვილი გურანდა, ძმები გრიშა, ვასო, საშა ციციშვილები ოჯახებით იუწყებიან **სოფიო ილიას ასულ ციციშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19-VI, 8 ს. გამოსვენება 20-VI, 6 ს. გრიბოედოვის, 28.

ალექსანდრა და ალექსი ზედგინიძეები, თამარ და ილია ნატროშვილები, დოდო და ნიკოლოზ ჩუბინიშვილები იუწყებიან **სოფიო ილიას ასულ ციციშვილის** გარდაცვალებას.

ს. საკოევი, შ. დავითულიანი, მ. ლამბაშიძე, შ. ბურდილაძე, დ. აბაშიძე, ნ. სულხანიშვილი, ი. კადიროვი, რ. კურაბჩაშვილი, ვ. თანდილაშვილი, დ. ტიულუპაევა, შ. ჩიტაძე იუწყებიან გრ. გოცირიძის შვილიშვილის პატარა **ზურაბის** გარდაცვალებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის დირექცია, პარტორგანიზაცია, მეცნიერ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ს. ლომკაცს მისი სიმამრის **პეტრე დეკანოზიშვილის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი და თამარ ზარიძეებს მათი დედის **ნინო ივანეს ასულ ზარიძის** გარდაცვალების გამო.

ქ. მიქაბაძე, ე. ლომაძე, ქ. და ნ. შარაშიძეები, ნ. გიორგობიანი, ნ. ნასიძე, გ. ქორქოლაძე, თ. გველესიანი, ზ. გონგაძე, ნ ბედიაშვილი, ე. ხარატიშვილი, ვ. პარკაძე, ბ. ინდუაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ დარეჯანს მისი დის **ქეთო ლომაძე-მარგველაშვილის** გარდაცვალების გამო.

გ. ქუთათელაძე, რ. ქადეიშვილი, ნ. თევზაძე, ნ. სარალიძე, შ. ვარაზანაშვილი, ი. მახარაძე, ი. აირაპეტოვი, გ. დათუაშვილი, ა. თევზაძე, მ. კოჩიაშვილი, შ. ქავთარაძე, ლ. ლორთქიფანიძე თანაგრძნობას უცხადებენ ვ. მუსელიანს მისი სიდედრის **კლავდია დიმიტრის ასულ შარიქაძის** გარდაცვალების გამო.

ბაბუა ილიკო, ბებია პელაგია, ბაბუა ელიოზა, ბიძა შოთა, მამიდები შუშანა და ვერა ქუთათელაძეები ოჯახებით იუწყებიან პატარა **ზურიკო გოცირიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე სოფიო, შვილები ელენე, მარგო, კატო, და კატო კანდელაკი, სიძეები პ. ჯაკობია, ა. ნებიერიძე, რძალი თინა, შვილიშვილები დევი, ელენე, ნიკუშა იუწყებიან **ნიკოლოზ ელიზბარის-ძე შანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-VI ქუთაისში, გოგებაშვილის 11 შესახვევი, 12.

პელო, ვალოდია ხაინდრავები, თათუშა, გუგუ ჩიქოვანები, ნატა, გოგი ფალავანდიშვილები, თამარ, ოთარ წულუკიძეები, ფაბიოლა, პერა მეძმარიაშვილები, ელენე ბაღაშვილი იუწყებიან **თემო ახათიანის** გარდაცვალებას.

თბილისის ქალთა მე-10 საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ნინო ლომიძეს მისი დის **ქეთოს** გარდაცვალების გამო.

ევსევი, ელენე, ვასილ, ქეთო, ქრისტინე უშვერიძეები, ანეტა, თომა მეგრელიშვილები, ეკატერინე, გრიგოლ მახათაძეები იუწყებიან, რომ 18-VI, 7 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ტატიანა გრიგოლის ასულ უშვერიძის** პანაშვიდი.

გ. დუნდუა, ი. პოლოკავა, გ. გიორგაძე, ლ. ქემარიტოვი, დ. დიაკვნიშვილი, ნ. გვენეტაძე, ი. ცაბაძე, მ. კაბისაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ შ. ვაშაძეს მისი დედის **ლიზას** გარდაცვალების გამო.

პ. მითაგვარია, ვ. ეროშევი, ვ. კვაჰანტირაძე, შ. გაბისონია, ი. საჯაია, მ. გუგუნავა, ს. მამალაძე, შ. მენაბდე, ბ. მაკალათია, კ. სტეფანიდი, პ. გულიაი, ი. ბინიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ვახტანგ მუსელიანს **კლავდია დიმიტრის ასულ შარიქაძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ვერა, შვილები ლიდა, თამარ, თალიკო, იური, ციალა, სიძე ანტონ ჯაველიძე იუწყებიან **ნესტორ გოგიბერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-VI, ს. ხიდისთავში (ჩოხატაურის რაიონი).

ლუბა და ვალიკო ქანთარიები თანაგრძნობას უცხადებენ ელენე და სიმონ ლომკაცებს **პეტრე ილიას-ძე დეკანოზიშვილის** გარდაცვალების გამო.

აბასთუმნის ობსერვატორიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მ. კოლხიდაშვილს მისი მამის **გრიგოლ ესტატეს-ძე კოლხიდაშვილის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა—3-80 83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ინფორმაციის და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვებისა—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორისა—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03392